645/2
1984
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ISSN 0321—1509
10
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნოდარ დუმბაძე

რა უდროოდ წავიდა ჩვენგან.

კარგა ხანს გრძელდებოდა ორთა ბრძოლა. ბოლოს სიკვდილმა იმძლავრა დაავადებულ სხეულზე, მაგრამ ვერ წაართვა შემოქმედს მთავარი — ნიჭი სიყვარულისა, რომელიც მარადისობის კანონის ძალით გადაეცემა ადამიანებს.

წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ სიცოცხლის ტრფიალით დაუპურებელი, საქართველოს მზის, სიყვარულისა და მეგობრობის საგალობლებით გულავსებული შემოქმედი, შესანიშნავი მწერალი, მოღვაწე, ადამიანი..

ნოდარ დუმბაძეს, ახალგაზრდობის დიდ მეგობარს ბავშვთა დედაქალაქ ,,მზიურში‘‘ მიუჩინეს სამუდამო ბინა. მისი გმირებიც იქ დასახლდებიან და ოლღა ბებია ჩვეული სიყვარულით შემოევლება შვილიშვილის სახეს და სახელს, ხოლო ათასობით დაფრთიანებული ზურიკელა და ხატია თაობიდან-თაობას გადასცემენ ერთი, სიყვარულით მოუსვენარი შემოქმედის ცხოვრების ამბებს

მარიკა ბარათაშვილი

,,საქართველოს ქალი‘‘
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**760 000 ტონა ყურძნისათვის**

# ცის გახსნა

ნარკვევი

ინათებს თუ არა, შავი ტეხილებით დაისაზება მტრედისფერი ცის ძირი. ეს ყვარელია და მისი სოფლები. თანდათან ჩამუქდება მთები ამ ტეხილების ქვემოთ, აშრიალდება ფოთლოვანი ხეები და ერთს ღრმად ამოისუნთქავს ტყე.

და გამოიღვიძებს მეოთხე საუკუნის ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი, მეხუთე საუკუნის ძველი გავაზის, მეშვიდე საუკუნის საბუის „წმინდა შიოს", მეექვსე საუკუნის ყვარლის „ყველაწმინდის", მეათე საუკუნის შილდის გუმბათოვანი „ბარცანის" ეკლესიები, თანამედროვე სკოლები, საბავშვო ბაღები, კულტურის სასახლე, ახალგაზრდობის სახლი, ღვინის დასაძველებელი მიწისქვეშა მარანი.

შემოდგომა თავის უფლებებში შედის და დღესასწაული დაათენა კახეთის მხარეს, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებს და ალაზნის ვაკის ნაწილს, დედოფლისწყაროს, თელავის, გურჯაანის და ლაგოდეხის საზღვრებს შორის გადაშლილ ყვარლის რაიონს.

დღესასწაული ხალხსა აქვს დაწესებული. დღესასწაულს ზოგი დაბადების დღეს არქმევს, ზოგი – ქორწინებას, ზოგი – სასწავლებლის დამთავრებას და ასე ამგვარად, მაგრამ ყველას აქვს სათავისო ერთი ან რამდენიმე დღესასწაული, როცა უცებ გაიღვიძებს და უხარია, სახე უბრწყინავს, გული გამალებით უცემს, რაღაცის მოლოდინშია, ეს დღესასწაულია გულისა და გონებისა და შეიძლება იგი ჩიტის გალობას მოჰყვეს გაზაფხულზე ან ვაზის ცის გახსნას, მტევნის ჩაშაქრებას შემოდგომაზე. ეს ყველა მშრომელის დღესასწაულია, მისი ხელების მადლიდებელი და მეხოტბე.

წლეულს ათ სექტემბერს შემოვიდა იგი ყვარელში. 600 დამატებითი მანქანა შემოგრიალდა მის ხეივანში, გასწია სოფლების-



17726
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

კენ: ენისლისკენ, გაჭაზისკენ, ჭიკაანისკენ, გრემისკენ, სანავარდოსკენ, საბუისკენ, შილდისკენ... და დახვდა იქაური მანქანები. საჭრელი იარაღები და კასრები რახრახებდნენ ამ მანქანებზე, უამრავი დამხმარე და გვერდშიმდგომი ესტუმრა სართვლოდ ყვარელს, სტუდენტები, მუშა-მოსამსახურეები, ნაცნობ-მეგობრები. ქართველები, სომხები, რუსები, დაღესტნელები. დაღესტნის საზღვარს ახლა სამშვიდობოდ და სამეგობროდ გადმოდიან, წინათ კი მოტაცების, „დაპყრობის და აწიოკების სურვილი ამხედრებდა აქეთკენ გადმოსასვლელად შავნაბადიან ცხენოსნებს.

შემოდგომა თავის უფლებებში შედის და დაიკრიფება რაიონის რვა ათასი ჰექტარი მსხმოიარე ვაზი. შვიდი ღვინის ქარხანა დაწურავს და დაადუღებს 76.300 ტონა ყურძენს, მერე მაინც არ მიატოვებენ ვენახს, სიმეჩხრესთან ბრძოლას, ვაზის გადაწვენას და ახალი ნერგების შემომატებას, ხუთას ჰექტარ ახალ ვენახს გააშენებენ.

დედა რომ შვილებს დაარიგებს და თავთავიანთ საქმეს მიუჩენს, ასეა ყვარელიც. მისი შვილებია გრემი და შილდა, საბუე და ენისელი, ჭიკაანი და ახალსოფელი.

მაგრამ შილდა მაინც უფროსი ვაჟივით არის მათ შორის, — ყველაზე ხალხმრავალი, ყველაზე ღონიერი, გამორჩეულად ლამაზი, სამი მხრიდან მთებით შემორაგული, დიდის შემძლე და შემქმნელი, სიმდიდრის მაუხვებელი. ცა ეხსნება თავზე დედას — ყვარელს სიხარულით, როცა ყველას საღს და ღონიერს ხედავს და განსაკუთრებით უხარია უფროსი ვაჟის, შილდის დაწინაურება, მისი საქმენი საგმირონი, რადგან იცის, რომ ის მაგალითია სხვებისთვის, მისაბაძი და გზის მაჩვენებელი.

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით, — ერთად გაიღიმებს შვიდი ათასი შილდელი, როცა თავის მიწაზე უცხოს ფეხის დადგმას შეიგრძნობს.

ასე ხვდება სტუმრებს სოფლის თავი, პატრონი, ბურჯი და პირველი მასპინძელი გულიკო ალნიაშვილი. მას აქვს იმის უფლება, თვალებში ჩახედოს მოსულს და გაიგოს, მოყვარეა თუ მტერი. შემდეგ მოატაროს სოფლის აღმართ-დაღმართები, თავი მოიწონოს ორი საშუალო სკოლით, ორი საბავშვო ბაღით, მუსიკალური სკოლით, კულტურის სახლით, სასურსათო წერტებით, მაღაზიებით, ქართული პურის საცხობით, აბანოთი.

სოფლის საბჭოს შენობა ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ალბათ, საქართველოში მეორე სოფელს არ ექნება საბჭოს ასეთი ლამაზი, გულისგამხარებელი შენობა თავისი სიკოხტავით, კრიალა მყუდრო ოთახებით. სადაც ყველა ოთახში ლარნაკებში სულ ახალ დაკრეფილი ყვავილები ლაღანებს, მზით გამთბარ ფანჯრებს საამო ფარდები საჩრდილობლად დაღგომია, თანამედროვე ავეჯი და საქმიან-საზეიმო განწყობილება აქ დიდხანს დარჩენის სურვილს მოგანიჭებთ. აქ ნახავთ გამგებ და გულიან ადამიანს, ვისაც საქმე არასოდეს მარტო არ ტოვებს და, ან საბჭოში აჩერებს დიდხანს, ან არადა, იქით წაიყვანს, საცა ეძახიან.

ამიტომაც უკვე მეთხუთმეტე წელიწადია სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევენ გულიკოს. ხალხმა მაშინ შეიყვარა, როცა ჯერ კიდევ პატარა იყო და ომის მძიმე წლებში კოლმეურნეობას შველოდა საქმეში, როცა მამა არ დაუბრუნდა ფრონტიდან და სუსტ მხრებზე შეიდგა მამის სატარებელი ტვირთი, როცა სკოლა დაამთავრა და შილდის პატარა ბიბლიოთეკა მთელი სოფლის საყვარელ ადგილად აქცია, სადაც დიდძალ სულის საზრდოს არიგებდა, გონებას უვითარებდა, ამურებდა და ახალისებდა თანასოფლელებს. ხალხმა შეიყვარა იმ თვისებების გამო, რომლებიც ასე შვენოდა — სარისკო და საჭოჭმანო საქმეში სწრაფად გარკვევის უნარით, ყოველგვარი სიტუაციის ზუსტად შეფასების ნიჭით, დიდი ვაჟკაცური გულით და დაფარული ქალური დარდითა და წუხილით.

... სოფლის კრება მიმდინარეობს.

— არ შევცდეთ, ხალხნო, სწორად გადავწყვიტოთ, რა გზას დავადგეთ,

— ნუ ავჩქარდებით, ბავშვების ბედისათვის უნდა ვიზრუნოთ!

— დარჩეს უნიათო კაცის მიერ გამოგდებული ქალი ორი ბავშვით იმავე სახლში, შეექმნას იქ ცხოვრების პირობები და თუნდ განცალკავებულად, მაგრამ მაინც მამის თვალწინ დაიზარდონ პატარები. ვინ იცის, დრო რას მოიტანს!

ამას ამბობდა სოფელი, სოფლის თავი, ყველა მოსახლე და მეოჯახე, ვისაც საკუთარ ტკივილად გაეხადა თავისი მიწის შვილების, დედაშვილების ტრაგედია და სამართალს ამკვიდრებდნენ ამ მიწაზე.

საბჭო ძლიერია თავისი დეპუტატებით. გულიკო მათ შემოქმედებითს თავისუფლებას ანიჭებს, მტკიცეა დეპუტატთა და ამომრჩეველთა ურთიერთობა, ის განმტკიცებულია მართვის სისტემით, რომელიც ყოველდღიურ კავშირს სპეციალური სტენდის საშუალებით აწესრიგებს. დეპუტატი მაშინვე იგებს, რა უჭირს მის ამომრჩეველს. ამომრჩეველს კი იმ დღესვე შეუძლია თავისი გულისნადები გაანდოს დეპუტატს, ამიტომ გვარდება ყველა საჭირბოროტო საკითხი სწრაფად, მთხოვნელის სასარგებლოდ და საერთო საქმის დაუზიანებლად. ამიტომ არ არის სოფელში მოშვებულობის, ზერელობის, საქმის გაჭიანურების შემთხვევები; ამიტომ ყველა ოჯახში მშვიდი, საქმიანი და ხალისიანი განწყობილება და ეს კი თავს იჩენს ხოლმე საერთო კომპანიის დროს, მოსავლის მოვლა-პატრონობისას, მისი ზრდა-განვითარებისას, მისი დაბინავებისას.

რთველი კარზეა მომდგარი შილდაში. გულიკო ათვალიერებს საკოლმეურნეო ვენახებს. პირველად შინმოუსვლელთა ურწყავ ნაკვეთებში შედის. 55 ჰექტარი გააშენეს თანასოფლელებმა ომში დაღუპულთა მოსაგონებლად. ფრონტზე წასული 700 ვაჟკაციდან 400 შილდელი ვერ დაბრუნდა, მაგრამ ვინც დაბრუნდა, შინმოუსვლელთა ვენახში შრომობს, მათ გვერდში უდგანან ომისშემდგომ წამოზრდილები. გულიკო ვენახების თვალიერებას ყოველთვის აქედან იწყებს. როგორი ვენახია? კარგი! მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ ირწყვებოდეს. წლეულს წვიმებმა დაიფასა თავი, აგვისტოში წვეთი არ ჩამოვარდნილა ციდან. ამიტომ ვერ დამსხვილდა მარცვალი, დაშაქრდა კი, მაგრამ მაინც მომცროა. მთავარი ის არის, რომ გეგმა შესრულდება.

რთვლის დაწყების წინ ყველაფერი მზადა აქვთ მევენახე ქალებს და თავისუფალ დროს სახლების წინ იკრიბებიან.

— სარები წაქცეულა ვენახში. წვიმა რომ მოვიდეს, ვაზს დააწვენს, — ამბობს ჯულიეტა შალოშვილი.

— წამალს კარგად არ აფრქვევს ტრაქტორი, — ჩივის ანო შალოშვილი.

— რას ამბობ! მაშინ ყურძენი არ ივარგებდა, — ეპასუხება ბაბუცა ასაბაშვილი.

—წვიმა რომ მოსულიყო, მარცვალი უფრო გაივსებოდა.

— არც ისვარგა, წვიმები რომ გადაებმება ხოლმე, მაშინ სკდება მარცვალი.

— შარშან მე-18 ბრიგადა რომ დაისეტყვა ნაკრესის ქვემოთ ფართობებში, რა კარგად მოარჩინეს ვაზები!

— აბა, სეტყვა არ ახსენოთ ახლა! — ერევა ქალების საუბარში ესმა მირიანაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, — და მშობლიურ საბუეს იგონებს, სადაც განთქმული საბჭოთა მეურნეობაა.

— წლეულს საბუეში სეტყვა მოვიდა, მაგრამ იქაური ხალხი დიდი მუშაა, შეესივნენ და მოუშუშეს ჭრილობები ვენახებს, თუმც შილდელებისთანა მშრომელი ხალხი მაინც არსად არის. არც ასეთი ანაზღაურებაა სხვაგან, — ამაყად ამბობს შილდელების რძალი. ესმას ერთი ვაჟი თელავში ინჟინრად მუშაობს, მეორე ახლა დაოჯახდა. შინ თუ გარეთ ბევრი შრომა აქვს ესმას. ამას დეპუტატის საზრუნავიც ემატება. შილდაში რომ გზებს არემონტებენ, წყლის ახალ მილებს ყრიან და ბუნებრივი გაზიც შემოჰყავთ, ესმას სიტყვის გამავლობას ამტკიცებს. მეურნეობაში გაპიროვნებულ ვენახს უვლის ესმას ოჯახი. ეს ხომ თვალუწვდენი ფართობებია სიდიდითა და მოსავლიანობით. ტრაქტორი რომ მოხნავს მიწას, მერე გუთანში ცხენს შეაბამს ესმა და გაატარებს. გუთანი რომ თავის საქმეს მორჩება, თოხს იღებს ხელში მევენახე. ვინ მოკრეფს ამდენ მოსავალს ესმას ფართობებში!

— მოსავალი იყოს, თორემ დედაბუდიანად, მთელ გვარეულობას, მთელ ნათე-



შილდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გულიკო ალნიაშვილი (ცენტრში) ესაუბრება დეპუტატებს ვალიკო ფაჩოშვილს და ნელი ცისკარაშვილს



მოწინავე კოლმეურნე ელიზა ჩიტიშვილი



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მევენახე ესმა მირიანაშვილი

საობას შევური, მტევანი არ დააკლდება საერთო მარანს ჩემი ვენახიდან, — ამბობს ესმა და კარზე მომდგარ ძროხებს ჰიშკარს ულებს. მათი მოწველის დროცაა.

მას შემდეგ, რაც ოჯახებზე განაწილდა ფართობები და თითოეულმა ერთი, ორი, სამი და მეტი ჰექტარიც გაიპიროვნა, კოლმეურნეობის ზვრებმა სულ იცვალა სახე, საკარმიდამო ნაკვეთზე უკეთ არის მოვლილი. აი, შედით ელიკო ალადაშვილის ნაკვეთში. ერთ ჰექტარს უვლიან ელიკო და მისი ქმარი კოლმეურნეობაში. გალალებულია საკრეფად მომლოდინე ყურძენით სარწყავია ელიკოს ვენახი, სწორედ ამაზეა ნათქვამი: საამოა ასეთი პატარძლის ხილვა. თუ შარშან 2 ჰექტარი ფართობიდან 24 ტონა ყურძენი ჩააბარეს ალადაშვილებმა, წლეულს ერთ ჰექტარზე ელიკო 14 ტონა ყურძენს ელოდება. სიმეჩხრე თანთადან შეამცირა ვაზის გადაწვენით და სამერმისოდ ამზადებს ვენახს. კარგი მეაბრეშუმეც არის ელიკო, კარგი მებოსტნეც, მაგრამ კახელი ქალი მაინც ვენახით არის ქებული და ეს წელიწადიც ალბათ მის საქებარს იტყვის.

ჯულიეტა შალოშვილს არაფერი დაუკლია ვაზისათვის, მაგრამ რა ქნას, ურწყავია მისი ნაკვეთი. აგვისტოს ბოლოს წვიმას ნატრობდა, ეგებ დაიბეროს მარცვალიო. გვალვა აწუხებდა თვალისჩინივით მოვლილ ვენახს. იმდენს ეცადა ჯულიეტა, ჰია არ გაუჩინა ყურძენს, არც სხვა დაავადება გააკარა, უწყლოდ იყო, მაგრამ მაინც დაიბერა და დაშაქრდა ჯულიეტას მოწეული ყურძნის მარცვალი, ამიტომაც კარგ გუნებაზეა მევენახე.

მის მეზობელს ანო შალოშვილს ბევრი ფული შემოაქვს ოჯახში კოლმეურნეობიდან. ძველი მევენახეა ანო. ვაზის საიდუმლოება ყველაზე მეტად მას და მის თანატოლს ზაბუცა ასაბაშვილს ესმით, 100 მანეთზე მეტი აქვთ ვეტერანებს პენსია, ამბობენ, ახლა რომ გამომუშავება გვაქვს, ამდენი რომ წინათ გვქონოდა, უფრო დიდი პენსია გვექნებოდაო.

ელიზა ჩიტაშვილს კოლმეურნეობაში რომ კარგი ვენახი აქვს, ეს ყველამ იცის, მაგრამ სამი ტონა ყურძენი მან შარშან მარტო საკარმიდამოდან ჩააბარა და ოჯახებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. ელიზას ძლიერი ოჯახი აქვს, პირთამდე სავსე, მორთულ-მოკაზმული. ორი ძროხა ხომ ჰყავს და ცხენიც შეიძინა. უცხენოდ არ ვარგა მევენახე, დროა დავიბრუნოთ ძველი ტრადიცია,

...რთვლის დაწყების წინა ღამეს შილდაში თონეები გაახურეს, დედის პურები ჩააკრეს. ხორბლის მათრობელა სურნელი დადგა ყველა ეზოში. თუმცა სოფელში გემრიელი ქართული პური იყიდება, მაგრამ დღესასწაულს ეზოებში თონეების გახურება შეჰფერის. მრავალგვარი სანოვაგე იწვება და იხრაკება, პურმარილით ხვდება რთვლის მობრძანებას სოფელი!

საღამოხანს ჩამოიარა სოფლის გზაზე შილდის პირველი ღვინის ქარხნის დირექტორმა თინა გოთაძემ, მომხიბლავი ახალგაზრდა ქალია, ენერგიით სავსე.

— ხვალ დილიდან მზად ვარ თქვენს დასახვედრადო, — გადასძახა მეზობლებს.

— როგორ ახალგაზრდა დააწინაურეს!

— საქმეს კარგად იწყებს!

— რეკონსტრუქციის ჩატარებას აპირებს ქარხანაში, რკინის კასრებს ხის ბუტებით შეცვლის,

— მაშინ სანიმუშო იქნება ჩვენი ქარხანა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაადევნეს საქებარი მეზობლებმა შარაზე ნელი ნაბიჯით მიმავალს.

გვიანობამდე არ ეძინა სოფელს რთვლის წინ. ბევრი ღამის გათენებასაც ფიქრობდა, რომ ფეხზე შეხვედროდა გარიჟრაჟს.

მევენახეს უყვარს ცის გახსნა და მზის ჩახედვა ვენახში. ორჯერ ეხსნება ვაზს თავზე ცა წელიწადში — ერთხელ ყვავილობის შემდეგ, მეორედ — სართვლოდ მზადებას რომ იწყებს.

ცის გახსნა ვაზისთვის დიდი სიხარულია. მზეს ეგებება მაშინ ვაზის თითოეული მტევანი, ყოველი მარცვალი, შაქრდება, ივსება, დიდდება...

ამიტომ ელიან ცის გახსნას მოუთმენლად კახეთში, სადაც სეზონში ოცდაათჯერ მაინც შეავლებენ ხელს ვაზს მოსავლელად. ამიტომ მღერიან შილდელები ცის საგალობელს ყველა ოჯახში, გათენებიდან — დაღამებამდე.

და ეშვება ციდან მზე — ვაზის მწყალობელი.

**ლია კაკაბაძე**

# დინასტია

თემქის დასახლების მრავალსართულიანი სახლის ოთხოთახიან ბინაში ანზორ ბიბილაძის ოჯახი ცხოვრობს. დილის რიჟრაჟზე ილება მათი კარი. მამა, — დისპეტჩერი, — რკინიგზის ნავთლუღის სადგურისაკენ მიდის, დედას და სამ ქალიშვილს — საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატისაკენ“ მიეჩქარებათ. ბიბილაძეების მუშათა დინასტია, — ასე უწოდებენ ამ შრომისმოყვარე, სამაგალითო ოჯახს.

ნინო ბიბილაძემ შვილები რომ წამოზარდა და გოგონებს უკვე თავიანთი თავის მოვლა შეეძლოთ, გადაწყვიტა მუშათა კოლექტივში დაეწყო მუშაობა. იგი საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“ მივიდა. ეს იყო 1974 წელი. მაშინ უფროსი ქალიშვილი ლალი მეათე კლასის მოსწავლე იყო, უმცროსები — მანანა და ცირა მომდევნო კლასში სწავლობდნენ.

ნინო საამწყობო საამქროში ამწყობ ზეინკლად მიიღეს. იგი სწრაფად დახელოვნდა და საოცარი სისწრაფით ამზადებდა უმცირესი ზომის დეტალებსა და ქანჩ-ჭანჭიკებს. მუყაითმა და მოკრძალებულმა ქალმა იმთავითვე მიიპყრო კოლექტივის ყურადღება. შეუმჩნეველი არ დარჩათ მისი უწუნო მუშაობა. ნინო შეიყვარეს თანამოსაქმეებმა.

ერთი წლის შემდეგ 154-ე საშუალო სკოლამ თემქის ახალი სასწავლებლის პირველი გამოშვება იზეიმა და ამ ზეიმში ლალი ბიბილაძეც მონაწილეობდა. ათწლედი 16 წლისამ დაასრულა და სიმწიფის ატესტატი მიიღო. მშობლებმა ურჩიეს და გადაწყვიტა, სამუშაოდ ქარხანაში წასულიყო. მაგრამ უარით გამოისტუმრეს — 16 წელი მუშისათვის არასრულწლოვანებად ითვლებაო. მაშინ გოგონა კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანთან მივიდა და დახმარება სთხოვა. — სად გინდათ იმუშაოთ? — შეეკითხა რაიკომის მდივანი. — საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“, დედაც იქ არის, — უპასუხა ქალიშვილმა.

ლალი ბიბილაძეს კომკავშირული საგზური გამოუწერეს, „ელექტროაპარატში“ მივიდა. საამქროს უფროსი ნანული კვაჭანტირაძე მაღალთაღიან ვრცელ დარბაზში შეუძღვა, სადაც მანქანების მწკრივს ბოლო არ უჩანდა. ქალები ისხდნენ და მუშაობდნენ. ლალი გაფართოებული თვალებით შესცქეროდა მუშების ხელის მოძრაობას, მათს საქმიანობას. უცბათ შიშმა შეიპყრო, ვაი, თუ ვერ შევძლოო, მაგრამ ყურში ჩაესმოდა დედის დარიგება: — მოინდომებ და დაძლევო. და იგი უმალ გასწორდა, წელში გაიმართა.

ლალი საამწყობო ბრიგადაში ამწყობ ზეინკლად მიიღეს. აქ მას თანატოლებიც დახვდნენ და უფროსებიც. ბრიგადაში ხუთნი იყვნენ. თბურელექტრორელეებს აწყობდნენ. — მოდი ჩემთან, გოგონა, — ლალი გამოცდილმა ზეინკალმა რუსუდან რუბაშვილმა იხმო და მისი პირველი დამრიგებელი

დედა და შვილები — ბიბილაძეები





ლალი ბიბილაძე

გახდა. მან კარგად იცოდა, რომ სკოლის მერხიდან მოვიდა ქალიშვილი და საწარმოს თავისებურებების გაგება თავდაპირველად გაუძნელდებოდა. რუსუდანმა მშვიდად დაუწყო ახალმოსულს საუბარი. ორი კვირის მანძილზე ლალი გვერდიდან არ მოუცილებია და თბური რელეს ასაწყობად საჭირო ყველა ოპერაცია შეასწავლა. პროფესიის საიდუმლოს აზიარა. დამრიგებელი გაოცებული რჩებოდა. ახალბედა ერთი ახსნით ითვისებდა. ცარიელ რელეს ხელთ დაიჭერდა და თავიდან ბოლომდე უწუნოდ აწყობდა. ყველა ოპერაციას უკვე კარგად ფლობდა. რუსუდანმა ლალი შეაქო: ყოჩაღ, შენ მალე ნამდვილად კარგი ამწყობი ზეინკალი დადგებიო.

ბიბილაძეების მუშურ დინასტიას ეყრებოდა საფუძველი...

ლალიმ წუთის ფასი ოჯახში ისწავლა. ეს მშობლების სკოლა იყო — სამ ქალიშვილს სიყვარულითა და თან სიმკაცრით რომ ზრდიდნენ. ახლა კი თანამოსაქმეთა ცხოვრებით ცხოვრობდა.

მალე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა შექმნეს. ლალი უწუნო მუშაობით გამოირჩეოდა. შეაქეს, ჯგუფორგად აირჩიეს. გეგმას, ვალდებულებას გადაჭარბებით ასრულებდა და „შრომითი მამაცობისათვის" მედლით დააჯილდოვეს. ამ ჯილდომ უზომოდ გაახარა. — „მაშინ შევიტყე შრომის ფასი. მე ასე მწამს: ახალგაზრდას საქმეს რომ მოგანდობენ, არ უნდა დაიზარო, უნდა შეეცადო, რომ გულმოდგინედ შეასრულო", — ამბობს ლალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მაყვალა არჩვაძე, უბნის კომკავშირის მდივანი მაია ედიშერაშვილი, დები ლია და ცირა ნემსაძეები, ბრიგადირი ლალი ბიბილაძე ერთ კოლექტივად შეიკრნენ, ბრიგადის თითოეული წევრი ხუთ სხვადასხვა ოპერაციას დაეუფლა. დეტალზე მუშაობის ყველა პროცესი ხუთივემ შეისწავლა. ბრიგადაში მუშაობის კონვეიერული სისტემა აქვთ. რელეს დეტალების დამზადების თითოეულ პროცესს განსაკუთრებით უწევენ კონტროლს. 25 წლის ლალი უკვე მეხუთე წელია ბრიგადას ხელმძღვანელობს, საჭიროების დროს სხვა ბრიგადებსაც შველიან.

დედამ და ქალიშვილმა უმცროს გოგონებზეც მოახდინეს გავლენა. ლალის კვალს ჯერ მანანა მიჰყვა, შემდეგ კი — ცირა. ისინიც ამწყობი ზეინკლები გახდნენ. მანანამ დედასთან დაიწყო მუშაობა, ცირა ერთხანს ლილის ბრიგადის წევრი იყო, ამჟამად კი ფართო მოხმარების საგნების საამქროს მუშაა.

ასე რომ, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში" შეიქმნა ბიბილაძეების ოჯახის დინასტია — დედა და სამი ქალიშვილი. ისინი პროფესიულად დაოსტატდნენ, მოქალაქეობრივად ჩამოყალიბდნენ, მუშური სინდისი, შემართება აქვთ და „ელექტროაპარატის" კოლექტივს მეორე ოჯახად თვლიან.

ლალი და მანანა საწარმოში კომკავშირელები მოვიდნენ. ახლა კი უკვე კომუნისტები, პარტიის წევრები არიან.

ტრადიცია ოჯახიდან დაიწყო. უქმად დაკარგული დრო ზიანის მომტანიაო, — შვილებს არიგებდნენ მშობლები. ჯერ კიდევ მოსწავლე ბავშვებს დედა თავისუფალ დროს გვერდით მოისვამდა და საქსოვ ჩხირებს ხელთ მოამარჯვებინებდა, ქსოვას ასწავლიდა. უსწორო ნაქსოვს იმდენჯერ დაარღვევდნენ, სანამ მოსაწონი არ იქნებოდა. შემდეგ გოგონებს კერვა შეაყვარა.

ნინო საწარმოში შვილებისათვის მაგალითი გახდა. მან კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მოიპოვა და პირადი დამღით საუკეთესო პროდუქციას უშვებს, წუნმდებელს არ საჭიროებს. კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება შემდეგ მანანასაც მიანიჭეს. მანანა საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო, ამჟამად ბიუროს წევრი და თავისი უბნის პარტჯგუფორგია. ცირამ თავი ისახელა მუყაითი შრომით.

1983 წელს ლალიმ კარგ მაჩვენებელს მიაღწია. მისი ბრიგადა დღეში 320-ის ნაცვლად 400 თბურ ელექტრორელეს აწყობდა. ბრიგადის წარმატებები 113 პროცენტამდე გაიზარდა.

საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ლალი ბიბილაძე 1983 წელს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა „სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო მაჩვენებლებისათვის, წარმოებისა და ტექნოლოგიის პროცესების კომპლექსური სრულყოფის საფუძველზე მუშაობის ეფექტურობისა და ხარისხისათვის, აქტიური სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებისათვის".

ბრძანებულება პრესაში გამოქვეყნდა. ლალი მეორე დღეს საწარმოში მივიდა თუ არა, გაერთიანების დირექტორმა გ. გზირიშვილმა და მთელმა კოლექტივმა გულითადად მიულოცეს საპატიო ჯილდო.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ ლალი ბიბილაძეს პრემიის ლაურეატობის სამკერდე ნიშანი და დიპლომი გადასცა, წარმატება უსურვა. ლალიმ მადლობა გადაუხადა თავისი მოკრძალებული შრომის ესოდენ დაფასებისათვის და აღუთქვა, რომ არ დაჯერდება მიღწეულს!

ლალი საწარმოში მუშაობას სწავლასაც უთავსებს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობისა და ენერგეტიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მესამე კურსის სტუდენტია.

ლალის უყვარს წიგნი, მუსიკა, თეატრი, კინო. წლეულს, როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ბალეტის გამოჩენილი ოსტატის, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტის ნინო ანანიაშვილის გასტროლები იყო, დედა და ქალიშვილები „დონკიხოტს" დაესწრნენ. მოიხიბლნენ ნინოს ხელოვნებით. ლალი ბევრს მოგზაურობს, ფეხით შემოიარა სვანეთი, კახეთი, იყო ვარძიაში, მცხეთაში. ინტერესით გაეცნო ისტორიულ ძეგლებს. შარშან გაერთიანების კოლექტივის 24 წევრთან ერთად ბულგარეთში იმოგზაურა.

ერთ მწკრივად ჩარიგებულან მსხლეტარის, ელექტროსამაგრის დამამზადებელი დაზგები. ეს ლალის უბანია. მაღალთაღიან დარბაზში მუშაობს კომკავშირის პრემიის ლაურეატის ლალი ბიბილაძის ბრიგადა. ოჯახის ოთხი წევრი — ნინო, ლალი, მანანა, ცირა ბიბილაძეები ერთ ჭერქვეშ ილვწიან, შრომობენ, ქმნიან. მათ არ აკლიათ ალალი შრომით მოპოვებული მატერიალური სიკეთე, იციან შრომის ფასი და აღწევენ წარმატებებს. ამიტომ არის, რომ თან სდევთ დაფასება და აღიარება.

საამქროში თვალსაჩინო ადგილას წითელ ქსოვილზე წარწერას ვკითხულობთ: „გახსოვდეს! წუნისმკეთებელი არცხვენს მთელ კოლექტივს!".

ეს ესმით ამ საწარმოში. ეს ესმით საამქროებში და ესმის ყველას, მათ შორის ბიბილაძეების დინასტიასაც, სახელოვან ფურცელს რომ წერენ სამამულო მრეწველობის მატიანეში.

ეთერ ჯაფარიძე

ლია ჭავჭავაძე

## ბერმუხა კახეთში

კვლავ მოვარდება ღრუბელიც, დელგმაც,
წამოდგება და დახვდება მაშინ
ეს ბერმუხა, რომელიც ერქვანს
იცავდა თავის მძლავრი რტოებით

და გაისმება ელვარე ცაში,
ჩუმი ლაღადი უსაზღვროების:
— მარადისია ეს ბერმუხა,
ჩვენ კი, ღმერთები, აქ ვართ დროებით.

* * *

ციკლიდან „ჩილე ჭყვდიადში“

პატარა კაცუნები,
პატარა ქუცუნები?

არა, დიდნი
თქვლეფენ და თქვლეფენ,
პურს, ხორცს და ღვინოს,
კაცს, ხატს, ბრილიანტს,

ველს, ტყეს და წყაროს,
კალმახს და ხოხობს,
შველსა და ნუკრსა,
თქვლეფენ და თქვლეფენ,

ჯოკონდას ღიმილს,
მადონა ლიტას
თავისი შვილით,
თქვლეფენ და თქვლეფენ

და ჩექმებით თელავენ აჩქარებით,
ყვავილს და სიმღერას —
პატარა კაცუნები,
მრისხანე კაცუნები...

## სურათი

მზე ეფარება კახეთის ველებს,
მზე ეფერება და ეფარება,
მთრთოლვარე ხელით ეხება ფერებს
და სინანულით სავსე თვალებით.

აპა, იხსნება ზეცის კარები,
ვინ იცის, თუ რა იქნება მერე,
ეს — ალავერდის რეკენ ზარები,
მზე ეფარება კახეთის ველებს.

## პოეტები ბუქიას ბაღში

ულამაზესი პატარძალივით მოჩანს ატმის ხე აყვავებული, ხოლო ირგვლივ კი დილის ცვარში თრთის აქ ვარდნარი... ამ პატარა ბაღს, საქართველოს უმცირეს ნაწილს, ბუკიას ბაღს რომ ეძახის ყველა, ეფერები და ვეფხვივით იცავ. ვეფხვი ხარ შენა, ბუკიას ქალო და ნეტავ მამულს, მრავალი ჰყავდეს ვეფხვი შენგვარი.

ლეილა ბუკიას

ხეებს მოუხხამთ თხელი პორფირი,
ბილიკზე ნისლის ყრია ფთილები,
მიმოჩანს ქალის ნაზი პროფილი,
გადაბინდული ცისფერ ჩრდილებით.

ანათებს სხივი დაღლილ მარჯვენას
და ოქროსფერნი რბიან დღეები,
შემოგცქერიან როგორც მარჩენალს
ეს ყვავილები და ეს ხეები.

აქ ბრწყინავს შენი გრემი ფარული,
აქ ბრწყინავს შენი ხატიც ხახულის,
შენი ტკივილიც და სიხარულიც
ყვავილებშია გარდასახული.

დაე, ისწავლონ სხვათა თვალებმაც
დაე, ისწავლონ სხვათა გულებმაც,
გაუხაძლისი ტვირთის ტარება,
ეგ სიამაყე და ერთგულებაც.

სად ძველთაძველი ერთი ლოდია,
გაცისფრებული წყაროს ცრემლებით,
მოდიან შენთან, შენთან მოდიან
კეთილშობილი მეოცნებენი.

და ზე ანთია, ვითა ყვავილი,
მეოცნებეთა შენთან კრებული,
სად ულამაზეს პატარძალივით,
მოჩანს ატმის ხე აყვავებული.

## ოდეს შეაკრთობს შემოდგომა

ოდეს შეაკრთობს შემოდგომა მშვენიერ
ფერებს
და მეწამულნი ჩაქრებიან თრიმლის
სანთლები,
ოდეს ღრუბელნი ჩამოწვიმენ, მერე და
მერე,
ო, მაშინ, მაშინ, მაშინ უფრო მომენატრები.

შენი ეგ სახე შავ ღრუბელზე გაჩნდება,
ლევგ,
შენი ეგ სახე და ჩამქრალი თრიმლის
სანთლები,
და ჩამორეკავს შემოდგომის დიდზარი —
ბედი
და მაშინ, მაშინ, მაშინ უფრო მომენატრები.



# შვილები და შვილობილები

განა მართლაც, სათაყვანებელი არ არის ქალი, რომელიც თავის შვილებთან ერთად უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს ხელს მოჰკიდებს, ძუძუმწოვარს ძუძუზე მოიკიდებს, მოზრდილებს თავის შვილებთან ერთად უძილო ღამეების სიმძიმესა და დედის გულის სითბოს გაუნაწილებს. რა თქმა უნდა, დიდი თაყვანისა და პატივის მიგების ღირსია ასეთი დედა! მითუმეტეს ახლა, როცა ჩვენს წინაშე ერის გამრავლების საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით არის დასმული.

გასულ შემოდგომაზე ყაზბეგის რაიონში მომიხდა ყოფნა. კომკავშირის რაიკომის პირველ მდივან მერაბ ჯამარჯაშვილთან ერთად, ერთ მშვენიერ საღამოს, რაიონული ცენტრის ღირსშესანიშნაობებს ვათვალიერებდით. საბავშვო ბაღის ეზოს ჭიშკართან ერთი მოხდენილი ახალგაზრდა კაცი გაჩერებულიყო და დეკორატიული ბაღის მოედანზე მოთამაშე ბავშვებს თვალგაშტერებით მისჩერებოდა. სახეზე სიხარულის ნათელი უთამაშებდა.

მისალმების შემდეგ იმ ახალგაზრდამ — გენადი ფიცხელაურმა ღიმილითვე გვითხრა ბავშვების წასაყვანად მოვედი, მაგრამ თამაშით ისე არიან გართულნი, რომ დამენანა მათთვის ამ ნეტარი წუთებისაგან გამოთიშვაო.

ის იყო საუბარი ჩაათავა, რომ ერთი ახალგაზრდა კაფანდარა ქალი მოგვიახლოვდა, რომელიც გასათხოვრად მოღერებულ გოგონას უფრო ჰგავდა, ვიდრე დედას.

— ჩემი მეუღლეა, ელისო, — გაგვაცნო გენადიმ და სიტყვა განაგრძო, — გვარი გამიმრავლა. — იხუმრა, — აი ბაღში რაც ბაღლები თამაშობენ სულ ამისები არიან.

ონავრებმა დედა დაინახეს თუ არა ჭიშკარში გახარებულნი გამოცვივდნენ და რიგრიგობით კაბის კალთაზე ჩამოეკიდნენ — თამაზი, მაკა, ია და გოგიტა. ბავშვები ხან მამას გაენაზებოდნენ და ხან დედას. ამ ახალგაზრდა ოჯახის იმდენი გულის სითბო იგრძნობოდა, რომ, ალბათ, მთელი ხევი ვერ დაიტევდა.

შეკითხვაზე გურამმა მიპასუხა, ხევში ბევრი ახალგაზრდა ოჯახი გვყავს სამ-ოთხშვილიანი, მაგრამ არიან უფრო მრავალშვილიანი დედებიც. მათ შორის სამაგალითოა ცირა წოკლაური, რომელმაც თავის ოთხ შვილთან ერთად ორი ობოლიც გაზარდა. ის სხვისი შვილები ვეფხვია და ფიქრია ახლა თოთხმეტ-თოთხმეტი წლისანი არიან და მეშვიდე კლასში წარმატებით სწავლობენ. ცირას ნაბოლარა დათოც მათი ხნისა და მათი თანაკლასელია. სამივენი ერთად ამზადებენ გაკვეთილებს.

...ცირა შინ დაგვიხვდა. სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვებს ესაუბრებოდა. სტუმარი ღვთისააო... საუბარი ობლებზე ჩამოვარდა.

— ფიქრია მშვიდი, სათნო, გოგოა, ბიჭები ცელქები არიან, მაგრამ გული კეთილი აქვთ, — გვეუბნება ცირა; ჯერ ჩხუბი არ მოსვლიათ. ასე ტკბილად იზრდებოდნენ ჩემი უფროსი შვილებიც — გელა, სოსო და მიტო.

ისე დათო და ვეფხვია ონავრები არიან. ხანდახან აქაურობას თავზე აიცვავენ. ზოგჯერ ვეფხვიას რომ გავუბრაზდები, უმალ ვნანობ, ვაჟა-ფშაველას პოემა „ეთერი“ გამახსენდება ხოლმე: „ვაჰმე რა ძნელი ყოფილა ყოფნა, სიცოცხლე ობლისა, სულ წყევლა, კრულვა ჩემს თავსა, არსად ალერსი მშობლისა. ნეტავი სახე მახსოვდეს ან ხმა მახსოვდეს დედისა, ნეტავ ტირილით შამეძლოს, შაცვლა ამ შავი ბედისა“. ვეფხვიას ხომ არც დედის ხმა ახსოვს და არც სახე.

ცირას ძმის ახალ ოჯახს დიდი უბედურება სწვევია; — პირველი ტყუპი შვილები ვეფხვია და ფიქრია წლისა და ოთხი თვისანი ყოფილან, დედა რომ გარდაცვლიათ უცაბედი ავადმყოფობით, ხოლო სამ-სამი წლისანი ყოფილან, როცა მამაც გამოცლიათ ხელიდან და ბავშვები ღვთის ანაბარად დარჩენილან. მათი დედობა ცირას უკისრია და მართლაც დედური სითბოთი ზრდის პატარებს.

ეს თვრამეტი წელიწადია ცირა სულ პატარებთან ტრიალებს დაბა ყაზბეგის საბავშვო ბაგა-ბაღში.

მარტოობამ გულგრილობაც იცის და შეჩვევაც, — განაგრძო მრავალშვილიანმა დედამ, — მე ვერ წარმომიდგენია უბავშვებოდ ყოფნა. უიმათოდ აგრე მგონია სადღაც სიცარიელეში ვიძირები მეთქი.

ცირას მეუღლე გიორგი მძღოლია. დაბა ყაზბეგის ბავშვთა სახლის ავტომანქანაზე მუშაობს. ცოლ-ქმარი დიდი რუდუნებით, შრომისა და სამშობლოს სიყვარულით ზრდიან შვილებსაც და შვილობილებსაც. სამი მათგანი უკვე ცხოვრების დიდ სარბიელზე გავიდა. თავისი გულის კარნახით არჩეულ საქმეს გაჰყვა.

გიორგი გოჩიტაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამარ მასწავლებელი

უკან დარჩა რვა ათეული წელი. ოთხმოცჯერ იცვალა ფერი ბუნებამ. წუთისოფელს ასე სჩვევია: სიმწარესაც და სიტკბოსაც ერთმანეთისაგან მოუშორებლივ უსაზღლებს ადამიანს გზასავალზე. ბედის ამ ცვალებადობაში იკვეთება ადამიანის ხასიათი, ნებისყოფა.

თამარ პატიეშვილი-გეგენავა ერთ-ერთი იმათგანია, ჩვეული სიმტკიცითა და შეუპოვრობით რომ შეერკინა ცხოვრებას.

სიძნელეების გადალახვის უნარი ბავშვობიდანვე შეითვისა. ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებულს, ამ საუკუნის გარიჟრაჟზე, დროის უკულმართობის წყალობით, ბედნიერი ბავშვობა არ ჰქონია, მაგრამ სურვილმა და ფიქრმა, რომ მხოლოდ სწავლას, განათლებას ძალუძდა ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მოპოვებაში დახმარებოდა, ერთიანი მიზანსწრაფვით ალავსო და აისრულა კიდეც წადილი. უჭირდა, მაგრამ ბეჯითად შეუდგა სამომავლო გზის გაკაფვას. ჯერ ძიმითის ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა, ხოლო შემდეგ ძიმით-მამათის დაწყებითი სასწავლებელი და მოიპოვა საპატიო მოვალეობა — თვითონ ყოფილიყო სხვათა აღმზრდელი.

1921 წლის პირველ სექტემბერს 17 წლის ქალიშვილი ძიმითის ოთხკლასიანი შრომის სკოლის გამგე-მასწავლებელია. ახალი ცხოვრების აისი იდგა საქართველოში. პირველ ნაბიჯებს დგამდა ახალფეხადგმული საბჭოთა საქართველო. ქვეყანას განათლებული, მცოდნე ხალხი ესაჭიროებოდა და ახალგაზრდა პედაგოგიც ენთუზიაზმით აღსავსე შეუდგა მუშაობას. აქვე განსაზღვრა თავისი ცხოვრების მთავარი მიმართულება, სკოლა და ბავშვები გახდნენ მისი ცხოვრების მარადიული თანამგზავრები.

შემდეგ თამარმა თავის თანასოფლელს, ღირსეულ ადამიანს ანდრო გეგენავას დაუკავშირა თავისი ცხოვრება. მალე მოეჯარა წვრილშვილი, მაგრამ ერთხელ მიცემული ფიცისათვის არ უღალატია, — სკოლას მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც მტკიცედ დაეჭირა თავისი ადგილი პედაგოგის არსებაში და მისადმი ღალატს თავს არ აპატიებდა.

წლები წლებს მისდევდა. ხუთი შვილის დედა ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

დადგა მრისხანე ორმოცდაერთიც. პედაგოგი ქალი ჩვენი ხალხის უძლეველობის რწმენას უნერგავდა მომავალ თაობას, სამართლიანობის უზენაესი ძალის გამარჯვების აუცილებლობას ქადაგებდა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დააფასეს პედაგოგი ქალის ღვაწლი, ამაგი — მედლით („მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში") დააჯილდოვეს. სულ მალე შრომის წითელი დროშის ორდენითაც დაჯილდოვდა, ამას 1952 წელს ლენინის ორდენი მოჰყვა, ხოლო 1978 წელს „შრომის ვეტერანის" მედლითაც დაიმშვენა მკერდი.

1949 წელს თამარს მოულოდნელად გარდაეცვალა მეუღლე. ქვეყანა ომის ჭრილობებს იშუშებდა, ჭირდა ცხოვრება, მაგრამ ამ განსაცდელმაც ვერ შეარყია მისი რწმენა. მარტოხელა, მრავალშვილიანი დედა საკუთარს კი არა, სხვის შვილებსაც მზრუნველობდა და მფარველობდა. უმამობა არ აგრძნობინა შვილებს, მუხლი და გული გაიმაგრა, არაფერი მიუკლია მათთვის, სამაგიეროდ, დღეს თამარი ბედნიერი დედაა. ხუთივე შვილმა უმაღლესი განათლება მიიღო და აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. თამარს ათი შვილიშვილი და რვა შვილთაშვილი, ჰყავს.

1960 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე თამარ გეგენავა სკოლაში მუშაობდა. მასწავლებელი! ეს სიტყვა გახდა მისი სახელის მოუცილებელი ნაწილი და მხოლოდ ლამაზი თქმისათვის გამიზნული ეპითეტი კი არ არის, არამედ სისხლხორცეულად ასახავს აღმზრდელისა და აღსაზრდელების ურთიერთდამოკიდებულებას.

თამარ მასწავლებელო! — ასე მიმართავენ მას უკვე თმაშევერცხლილი, ნახევარ საუკუნეს გადაცილებული ნამოწაფრები და ეს არც გასაკვირია. თამარ გეგენავა მათ წარმოდგენაში იმ ადამიანად რჩება, რომელმაც სიბრძნის თვალი აუხილა მათ, ანბანის სიბრძნეს აზიარა, დიდი ცხოვრებისაკენ გაუკვალა გზა. ამ პირველ სიყვარულს დავიწყება არ უწერია. ეს სიყვარული, მრავალ ათეულ წელს რომ ითვლის, — კვლავ ძველებური სიკაშკაშით ელავს.

თამარს მოგონებები წარსულში აბრუნებს, ცრემლმორეული თვალით გაჰყურებს სკოლის შენობას, რომელშიც ოცდაცხრამეტი წლის განმავლობაში ანთებდა ცოდნის კელაპტარს. ახლა ხომ სწორედ მისი აღზრდილები განაგრძობენ მის საქმეს, სოფელსაც მისი ნამოწაფრები ხელმძღვანელობენ. უამაყება თავისი ფასდაუდებელი მონაგარი!

დრომ თავისი გაიტანა. თვალი აღარ უჭრის, მუხლიც აღარ ემორჩილება ძველებურად, მაგრამ არ დაუკარგავს სიხალისე, გონების სიმტკიცე, შვილთაშვილების აკვნებს დაჰფუსფუსებს, უმცროს შვილიშვილსაც წამოეშველება ჟამიჟამ გაკვეთილების მომზადებისას. დროს არ ემორჩილება, რადგან იცის, რომ მისი იმედი აქვს შთამომავლობას, დიდ ოჯახს, ოცდაათზე მეტ წევრს რომ აერთიანებს.

უკან დარჩა ოთხმოცი წელიწადი. სიცოცხლე გრძელდება და გვჯერა ეს სხივნათელი სიცოცხლე, მისი მრავალრიცხოვანი შვილების, შვილიშვილებისა და სახელოვან აღზრდილების გულებში რომ ანთია, ყველა სასიკეთო საქმის გზამკვლევი იქნება. მადლიერების გრძნობით აღვსილი თაობები მადლობას ეტყვიან ქ-ნ თამარს, რომ მან, ერთმა ჩვეულებრივმა ქართველმა ქალმა, წმიდად და სახელოვნად შეინახა ღირსეული სახელი დედისა და მასწავლებლისა.

მ. ხავთასი
თ. ხარაიშვილი

# გილოცავთ!

წელს, 8 ოქტომბრისათვის საქართველოში 578 000 ტონა ჩაი მოიკრიფა — ვალდებულებით დასახულზე 13 ათასი ტონით მეტი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩაის ბუჩქების გამხარებლები და მასზე ამოსული ნაზი დუყების მკრეფავები ძირითადად ქალები არიან, მაშინ ეს დიდი გამარჯვება ჩვენი რესპუბლიკის ქალებს უნდა მივულოცოთ.

კრეფისათვის ამინდის შერჩევა ხომ საგანგებოდ არასოდეს არ ხდება. ნებისმიერ დროს, წვიმასა, ქარსა და თაკარა მზეში დიდი ჰილის ქუდით და კალათით დგას ბუჩქთან მისი გულშემატკივარი.

მთელ საქართველოს მოედო მახარაძის რაიონის სოფელ შრომის მეჩაიეებისა და ჩაის ფაბრიკის მუშების ინიციატივა — ყოველდღიურად შარშანდელთან შედარებით 10-15 პროცენტით მეტი ჩაი მოეკრიფათ.

მთავარი კი მაინც ხარისხია! აი, რისთვის იბრძვიან ყოველდღე, ყოველსაათს მკრეფავები· ქართულმა ჩაიმ ხომ ავტორიტეტი უნდა აღიდგინოს ყველა საბჭოთა ოჯახში, დილა-საღამოს გაწყობილ სუფრასთან გაამხნეოს, კარგი ხასიათი მოჰგვაროს და კეთილად განაწყოს ადამიანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ის მიდიოდა ქუჩაში ერთი..."

დღეს მაინც ძალიან ცხელოდა... ღმერთო ჩემო, რა სასიამოვნოა შემოდგომის გრილ საღამოს მტკვრის სანაპირო. ასე მგონია ფოთლები ნაზი შრიალით მეალერსებიან სახეზე. მთებს უკან ნახევრად მიმალულ მზის სხივებს მტკვარი ალისფრად შეულებავს, მდინარე წყნარად მოედინება და თითქოს თავისთვის რაღაცას ჩურჩულებს.

„ის მიდიოდა ქუჩაში ერთი"... — რატომ, რატომ მაგონდება ეს სიტყვები? ალბათ იმიტომ, რომ ზუსტად ამ ადგილას ლევანი კითხულობდა თავის საყვარელ გალაკტიონს, ქეთი კი აღტაცებული შეჰყურებდა.

მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. სკოლის დამთავრების შემდეგ დაქორწინდნენ.

მარტო მივუყვები სანაპიროს და ვფიქრობ, რა კარგი იყო სკოლის უკანასკნელი დღეები, ლევანის და ქეთინოს ქორწილი...

უცებ ფიქრებიდან გამოვერკვიე და შორიახლოს მდგომი ნაცნობი ფიგურა შევნიშნე.

ლევანი? არა. ალბათ შემეშალა!

მივუახლოვდი. წვერგაუპარსავი და თმააჩეჩილი იყო.

ნუთუ ეს ლევანია? როგორ შეცვლილა!

— გამარჯობა ლევან!

მან გაკვირვებული სახით შემომხედა.

— ვერ მიცანი? მარიკა ვარ. ასე მალე დაივიწყე შენი სკოლის მეგობარი?

— აა... მარ... მარიკა! შენა ხარ! საიდან... აქ საიდან გაჩნდი? რამდენი ხანია არ მინახიხარ. სად დაიკარგე? როგორ...

ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილა. ამ ორიოდე წელიწადს ეს მხიარული ახალგაზრდა ნაადრევად დაუბერებია.

— კაუნასში ვსწავლობ, ლევან! თბილისში მხოლოდ არდადეგებზე თუ ჩამოვალ. ქეთი როგორ არის?

— არ ვიცი! დიდიხანია არ მინახავს.

— როგორ, ლევან!

— ჩვენ დავშორდით, მარიკა. არ მესმის რატომ. ალბათ ვერ გავუგეთ ერთმანეთს.

გავოგნდი. შევყურებდი მის დამწუხრებულ სახეს და ხმას ვერ ვიღებდი, თითქოს ენა ჩამივარდა. ლევანი კიდევ რაღაცას ბუტბუტებდა, მაგრამ მე არაფერი მესმოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე შორს მიმავალს მოვკარი თვალი.

„ის მიდიოდა ქუჩაში ერთი"... რატომღაც ისევ გამახსენდა ეს სიტყვები და გული სევდით ამევსო. ნუთუ ეს ლამაზი სიყვარულით შექმნილი ოჯახი ქეთიმ დაანგრია? არა... იქნებ ვცდები. იქნებ ლევანია დამნაშავე...

შინ რომ შევედი, რაღაც დაღლილობას ვგრძნობდი.

— აი, ჩვენი მარიკაც მოვიდა, — ხალისიანად თქვა ბებომ. საოცარი ქალია ჩემი ბებია. თბილი და კეთილი ღიმილით ხშირად მიყვება რაიმე საინტერესოს თავისი წარსულიდან. მისი უსასრულო, ბევრი და კვალდარჩენილი მოგონებები ყოველთვის მაღელვებს.

იქვე ახლოს ჩავცუცქდი, თვალები მოვჭუტე და ბებოს ნაღვლიანად შევხედე.



მხატვარი კარლო ფაჩულია

— რა იყო, შვილო, რა მოხდა? — ცნობისმოყვარეობით შემეკითხა.

— არაფერი, ბებო, ისე... მომენატრა შენთან საუბარი. მომიყევი რაიმე, აი, თუნდაც შენს სიყვარულზე და ერთგულებაზე.

— რა გითხრა, შვილო, — ჩვეულებისამებრ დაიწყო ბებომ, შეჩერდა, გაეღიმა, ხელი თავზე გადამისვა და განაგრძო, — 1942 წელი იყო. დიდი სამამულო ომის ღრუბლიანი ცა. მაშინ სულ ახალგაზრდა ვიყავი, ოცი წლისა. ფაშისტები გააფთრებით გვიტევდნენ. ქვეყანა დენთისა და სისხლის სუნით იყო გაჟღენთილი. ორ შვილს ვზრდიდი. დამხმარე არავინ გამაჩნდა, ძალიან მიჭირდა. შენი პაპა ცეცხლის ხაზზე იბრძოდა. მთელი სიცხადით წარმომედგინა ზარბაზნების გრიალი, ყუმბარების ზუზუნი და დაჭრილთა კვნესა. ღამეებს თეთრად ვათენებდი. მეჩვენებოდა, ვითომ პაპაშენი სადღაც დაჭრილი ეგდო უპატრონოდ, ძლივს შლიდა აკანკალებულ ხელებს და შველას მთხოვდა, მე კი ვერაფრით ვეხმარებოდი. მინდოდა მის გვერდით ვყოფილიყავი და მეც მებრძოლა გამხეცებული ფაშისტების წინააღმდეგ. ეჰ, შვილო, შვილო! მაშინ ხალხმა რა განიცადა, შენ ალბათ ამას ვერ გაიგებ, რადგან არ გამოგიცდია.

ბებომ ამოიოხრა და ისევ განაგრძო: ერთხელ შემთხვევით გავიგე, რომ პაპაშენი რომელიღაც ქალაქის ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრილი იწვა. მივხვდი, წერილს რატომ აღარ იწერებოდა და არ მაგებინებდა თავის ამბავს. მოსვენება დავკარგე, რა გამეკეთებინა არ ვიცოდი. ქალაქი კი მაცნობეს, მაგრამ ჰოსპიტლის ნომერი ჩემთვის უცნობი იყო. ჰოსპიტალი ხომ ერთი არ იქნებოდა. პირსისხლიანი ფაშისტები კი საშინლად ბომბავდნენ რკინიგზის ხაზებს.

შევუდექი მზადებას და ვფიქრობდი, ცოცხალი კი ჩავიდოდი დანიშნულ ადგილას? სად დამიღამდებოდა ან სად გამითენდებოდა ამ ომის გზებზე? შინ დავბრუნდებოდი და ისევ ვნახავდი ჩემს უმწეო შვილებს? მაგრამ არაფრის გაგონება არ მინდოდა. ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო.

ამ მძიმე ფიქრებიდან კარის ჭრიალმა გამომიყვანა. ვიღაც გაყვითლებული, გამხდარი, ფარაჯაში გახვეული ჯარისკაცი ზღურბლთან საცოდავად იდგა და მიყურებდა. მე გონი დავკარგე. ის იყო... — ბებოს ხმა უწყდებოდა, — შვილო, პაპაშენი იყო. ნამდვილად დიდმა სიყვარულმა გვიხსნა უბედურებისაგან, ჩემი პატარა შვილები ობლობისაგან. რამდენიმე დღე მე და ის ხელიხელგადახვეული ერთმანეთს შევყურებდით, მუნჯებად ვიქეცით, ხმას ვერ ვიღებდით, თითქოს ლაპარაკი დაგვავიწყდაო.

რა მოხდებოდა, ღმერთო ჩემო, რა მოხდებოდა, შინიდან მე რომ ხუთი წუთით ადრე გავსულიყავი. ეჰ, არ ვიცი, ბედი იყო თუ რა...

ბებო წამოდგა, ხელი მხარზე დამადო, ტკბილად გამიღიმა, ღამე მშვიდობისა მისურვა და ოთახიდან გავიდა.

სუნთქვა შემეკრა. კედლის კუთხეს ვუცქერდი მდუმარე.

ჩემო ბებო, წარმომიდგენია, მაშინ რა ბედნიერი იყავი! — ვფიქრობდი და ვამაყობდი კიდეც.

...„ქუჩაში ერთი"... ...„ქუჩაში ერთი"...

ჰმ, თვალები ცრემლით ამევსო, ღრმად ამოვისუნთქე, წამოვხტი, სწრაფად მოვნახე ქეთის ტელეფონის ნომერი, ავიღე ყურმილი და ავკრიფე...

ეკა ბაშელეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამონაშვილი

## წერილები ჩემს ქალიშვილს

# თურმე ენა ყველასა აქვს!

### წერილი მეშვიდე

სალამო მშვიდობისა, შვილიკო!

კატის ამბავი მინდა მოგიყვე, მაგრამ თავადაც მიხვდები, საქმე იმდენად კატას არ ეხება, რამდენადაც თითოეულ ჩვენგანს. თუ ადამიანს საკუთარი თავის შეცნობა უნდა, ამ საქმეში, როგორც ჩანს, კატაც დაეხმარება, გალიაში მომწყვდეული იადონიც, აკვარიუმის თევზებიც და ეზოს ძაღლიც, ერთგულად რომ იცავს პატრონის კარ-მიდამოს. ჯერ არავის მიუყვანია სახლში კატა იმიტომ, რომ თაგვები დავუჭირო და ვაჭამოო; არც იადონი მიუყვანია ვინმეს შინ იმ მიზნით, რომ წინ დავუჯდები და ვუმღერებო.

დიდი ხანია ნატრობ ძაღლს ან კატას. რად გინდა ისინი? იმიტომ, რომ გაერთო მათთან თამაშით, როცა გართობა მოგინდება. ხოლო, როცა გასართობად აღარ გეცლება და თამაშიც მოგბეზრდება, მაშინ აღარც ძაღლი მოგინდება და აღარც კატა. მინახავს ქუჩაში გოგონები, რომლებსაც ტოპსიკა ძაღლები გულში ჩაუხუტებიათ, ეფერებიან, კოცნიან, ბრძანებებს აძლევენ და, ალბათ, მეტად კმაყოფილნი არიან, რომ ძაღლები ფეხდაფეხ დასდევენ და ემორჩილებიან. მაგრამ ის კი აღარ ვიცი, ვინ ზრუნავს ოჯახში კატასა და ძაღლზე, ვინ ასუფთავებს მათ სადგომს, ვინ იცის მათი ენა, ვინ ესაუბრება და უთანაგრძნობს — ქალიშვილები? ბებიები? დედები? ცხოველებს ოჯახში ისეთივე ფაქიზი მოვლა უნდათ, როგორც უმწეო ავადმყოფს, რომელსაც სხვა უბედურებასთან ერთად, ენაც წართმეული აქვს.

...მე და შენ კბილის ექიმთან მოვდიოდით, ხის ძირას ულამაზესი სიამის კატა დავინახეთ. ცხვირ-პირი და კისრის მიდამოები შავი ბეწვით ჰქონდა დაფარული. ეს ფერი თანდათანობით მუქ ყავისფერში გადადიოდა. თვალები ხან ლურჯი ჰქონდა, ხან წითელი — საოცრად უელავდა. კატამ შემოგვხედა და საცოდავად დაიკნავლა. ჩვენ დავიხარეთ და მოვეფერეთ. კატამ არ იუცხოვა ჩვენი მოფერება, არ გაგვექცა. „აი, სწორედ ასეთი კატა მინდა!" — თქვი შენ. კატა თითქოს რაღაცას გვეუბნებოდა, ნაირნაირად იძახდა „მიაუს" და თან თვალებში შემოგვცქეროდა. „წავიყვანოთ, წავიყვანოთ!" — დამიწყე ხვეწნა. მე წინააღმდეგობა გაგიწიე: „მერე პატრონი რას იტყვის, ხომ არ მოვიპარავთ კატას?".

ქუჩის მეორე მხრიდან ქალი გამოგვესაუბრა. „ძალიან კარგი კატაა, — პატრონი არა ჰყავს, აი, ამ საავადმყოფოში აფარებს თავს, თუ წაიყვანთ, კარგს იზამთ!" შენც ეს გინდოდა: „წავიყვანოთ, გეხვეწები, მამიკო, წავიყვანოთ" შეუძლია განა მამას, გაუძლოს შვილის ხვეწნას? მოგეფერება შვილი, ერთ-ორს გაკოცებს, „ჩემო საყვარელო მამიკოო", გეტყვის და ამის შემდეგ კატას კი არა, გინდ ნიანგს მოუყვან. ჰუმანურ პედაგოგიკას კი ვქადაგებ, მაგრამ ამჯერად ჰუმანიზმი კი არა, ფილანტროპიზმი გამომივიდა. ხომ უნდა მეფიქრა ამხელა კაცს, რამდენად მიზანშეწონილია შინ უპატრონო, ქუჩის კატის მიყვანა, იქნებ რით არის დაავადებული? ან კატისთვისაც კარგად ხომ უნდა შემეხედა და სრულიად ადვილად აღმოვაჩენდი, რომ ცოდვას ჩავდიოდი!

ავიყვანეთ კატა და წამოვედით. გზაზე კატა ახლა სულ სხვანაირ „მიაუს" იძახდა, მე მგონი გვეხვეწებოდა გამიშვითო, მაგრამ დავუჯერეთ? ჩავსხედით ტაქსში და გამოვეშურეთ შინისაკენ. მძღოლმა რომ გაიგო, პარკში კატა გვყავდა ჩასმული, თავისი პოზიცია გამოგვიცხადა: ძაღლსა და კატას სახლში არ გავაჭაჭანებ, მაგათი სიბინძურის თავი არა მაქვსო, მერე რაღა ძაღლებსა და კატებს ვეფერო, არა სჯობია, ბავშვებს ან ჩემს მოხუც მშობლებს ვეალერსოო. ტაქსში ერთი ხნიერი კაციც იჯდა. „უცხოელმა ფსიქოლოგებმა დაამტკიცეს, — თქვა მან, — რომ სწორედ ის ადამიანები ხდებიან დაუნდობლები, ბოროტნი და დამნაშავენი, ბავშვობაში ძაღლებსა და კატებს რომ ეფერებოდნენ!" მეც ვიცი ფსიქოლოგია, მაგრამ ასეთი, რამ არსად წამიკითხავს. პირიქით კი მართლაც ცნობილია: ბავშვებში კეთილი გულის აღზრდა ცხოველებთან მეგობრობითაც შეიძლება, ოღონდ უნდა მიაჩვიო ბავშვი, რომ გაუგოს და უთანაგრძნოს ცხოველს, ისწავლოს მისი ენა; ბავშვს ნება არ უნდა მისცე, აწვალოს ძაღლი და კატა, შურდულით სდევდეს და ბუდეებს უნგრევდეს ჩიტებს. რაც შეეხება უფროსებისადმი გულისხმიერ მოპყრობას, რა თქმა უნდა, შინ გასართობად მიყვანილმა კატამ და ძაღლმა არ უნდა დაავიწყოს გოგონასა თუ ბიჭს, რომ უფრო მეტად გაუგოს ბებიას, დედას და, საერთოდ, ადამიანს. აი ამ პედაგოგიური იდეის იმედით მომყავს ახლა კატაც. „რას ბრძანებთ, ძიაკაცო"... მაგრამ ხანშიშესულ კაცთან გაკამათებაც ვერ მოვასწარი, ტაქსი გააჩერა და ჩავიდა...

შინ შენი ძამიკო დაგვხვდა. ეჭვით შეხედა კატას (ბიჭებს, საერთოდ, კატები მაინცდამაინც არ უყვართ). რად გინდოდათო, გვითხრა. „რატომაც არ გვინდოდა! ასეთ კატას ვნატრობდი, შეხედე, როგორი ლამაზია!" — მიაყარე შენ. „ლამაზია, მაგრამ"... რის თქმას აპირებდა ძმა, არ აცალე — დამეხმარე, კატა ვაბანაოთო, უთხარი. კატა შამპუნით დავბანეთ, გავამშრალეთ, სუნამოც წავუსვით, რძე დავუდგით და დედასა და ბებიას დავუწყეთ ლოდინი: ვნახოთ, რას გვეტყვიან, დაგვატოვებინებენ კატას თუ ისევ უკან დაგვაბრუნებინებენ. ჯერ ბებია მოვიდა. კატის ამბავი რომ გაიგო, ღმერთო ჩემოო, ამოიკვნესა, ახალი საზრუნავი გამიჩნდაო. შენ ყურადღებაც არ მიგიქცევია, რატომ შფოთავდა ბებია. კატა ხელში აყვანილი დაგყავდა ოთახიდან ოთახში, კალთაში ისვამდი, ეალერსებოდი, ის კი არავითარ სიხარულს არ ამჟღავნებდა. მართალია, ძალიან წესიერად, თავაზიანად იქცეოდა, ეტყობოდა, კარგად იყო გაზრდილი, მაგრამ კნავილს კი თანდათან უმატა, სულ ნაირნაირად გაიძახოდა „მიაუს". ბებიამ მაშინვე თქვა: „ამ კატას რაღაც აწუხებს, ჩვენთან არ გაჩერდება!" ვინ მოუსმინა ბებიას?! ბებიას არც ის დაუჯერე, რომ ყუთი მოგეძებნა და ეზოდან სილა ამოგეტანა. „ოჰ, რად უნდა სილა!" — შეეპასუხე ბებიას. მაშინ თვითონ ბებია წავიდა ეზოში სილის მოსატანად, თუმცა ცუდი ქარიც ქროდა და წვიმდა კიდეც. კატამ დაუყოვნებლივ ისარგებლა სილით, მაგრამ კნავილი მაინც არ შეწყვიტა. იქნებ შიაო, ისევ წამოიწყო ბებიამ, მაღაზიიდან ძეხვი მოუტანეთო. მაგრამ წვიმს და ქარია, რა ეჩქარება კატას ჭამა? ბებიამ ქოლგა აიღო და არც გაგვიგია, ისე გაიპარა მაღაზიაში. კატას მოეწონა ძეხვი, გემრიელადაც მიირთვა და უფ-

რო საცოდავად (მე მგონი, ტიროდა) აკნავლდა. მოგვიანებით დედაც მოვიდა. „ვაი, კატა, საიდან?“ — შესძახა გაოცებულმა. ჩვენ წვრილად ვუამბეთ ყველაფერი. „ვინ მოუვლის კატას?“ — შეწუხდა დედა. მართლაც, ვინ მოუვლის? ღამით შენ ჩვეულებრივი სიზმრიანი ძილით დაიძინე, ჩვენ კი კატის გულამოსკვნილმა „მიაუმ“ შეგვაწუხა. კატა ფანჯარაზე შეხტა და თითქოს მეცხრე სართულიდან გადახტომა უნდოდა. ხან თვალებში შემოგვცქეროდა და იმისთანა საცოდავ „მიაუს“ გვეუბნებოდა, რომ ტირილი გვინდოდა. მეორე დღეს ძილის წინ გავაფრთხილეთ, რომ კატა ღამით შენს ოთახში ეყოლოდა. რა მოხდა იმ ღამეს? ალბათ, არ დაგაძინა კატამ, ახლა შენ გიხსნიდა და გისაყვედურებდა თავის გაჭირვებას. „მიაუ“, „მიაუ“, მაგრამ როცა კატა ამას ისე წამოიკნავლებს, ვითომ „მე კარგად გახლავართ, თქვენ როგორ გიკითხოთო“. სულ სხვაა, ხოლო როცა იმნაირად წამოიგმინებს, — „ადამიანი არა ხარ, მიმიხვდი რაც მაწუხებსო“, ეს კიდევ სულ სხვაა. თუ გინდა, რომ კატა გყავდეს, უნდა ისწავლო კატის ენა, თუ გინდა ძაღლი იყოლიო, მაშინ ძაღლის ენაც უნდა ისწავლო, მათაც აქვთ თავიანთი ტკივილი, წუხილი, სიამოვნება და სიხარული, ადამიანებს რაღაცას სთხოვენ, უზიარებენ. მე მგონი, იმ ღამით კატამ თავის გაჭირვებას მიგახვედრა, რადგან დილით შენ თვითონ მთხოვე — დააბრუნე კატაო. და როცა კატას ჩანთაში ვსვამდით, მაშინ შევნიშნეთ, რომ დაბერილი ჰქონდა ძუძუები. კატას კნუტები ჰყოლია — ამას გველაპარაკებოდა და გვიხსნიდა, თავისი „მიაუთი“ შვილებს გვაბრალებდა. შვილების დარდი ჰკლავდა სიამის კატას, ჩვენ კი შინ გასართობად მოვიყვანეთ.

მივდიოდი და ვფიქრობდი: ყოველდღიურად ათასობით დედასა და მამას, დეიდასა და ბიძიას მიჰყავს ბავშვებისათვის საჩუქრად ძაღლი ან კატა, იადონი ან აკვარიუმის თევზები. დაინახავს ბავშვი ამას და დაიწყებს სიხარულით ხტუნვას. ან იმათ რატომ მიჰყავთ ბავშვებისათვის ცხოველები, ან მე რატომ დაგყევი, რომ ქუჩიდან სიამის კატა წამოგვეყვანა? მართლა იმიტომ ხომ არ ვაკეთებთ ამას, რომ ბავშვმა იმწამს გაიხაროს, ტაში შემოჰკრას, ნაჩუქარი ძაღლი თუ კატა გულში ჩაიხუტოს? ჩვენ — უფროსებს, აღმზრდელებს — არა გვაქვს უფლება, რომ ბავშვებთან ჩვენი ურთიერთობის შინაარსს აღმზრდელობითი აზრი არ მივანიჭოთ. თუ კატას მხოლოდ ბებია მოუვლის, შენ კი კატასთან თამაშით ტკბები, მაშინ გამოდის, ბებიის აღზრდა ყოფილა ჩემი ამოცანა! ეს, რა თქმა უნდა, უაზრობაა, ყველაფერი პირიქით უნდა იყოს. ბავშვებს ცხოველები უყვართო, ამბობენ. მე კი, თუ ბებიის მაგალითით ვიმსჯელებ, აშკარად ვხედავ, ცხოველები და ფრინველები მხოლოდ მოხუცებს უყვართ. მათ ისინი უყვართ, ებრალებათ, რადგან უმწეონი არიან, ამიტომაც ასე ერთგულად ზრუნავენ მათზე; ბავშვებსაც უყვართ ცხოველები, იმიტომ, რომ ერთობიან, მდიდრდება თამაშის შინაარსი. მოსწყინდებათ თამაში და აღარც ძაღლი ან კატა უნდათ არ ებრალებათ და იმიტომ. ასე არ არის, განა?

რა გვითხრა ორი დღით მოყვანილმა სიამის კატამ, ათასნაირი „მიაუთი“? აი რა გვითხრა: — „მე კატა, ვარ, მაგრამ თქვენ ხომ ადამიანები ხართ?“

და რაკი ადამიანები ვართ, მოდი, ვიფიქროთ, როგორ უნდა გვიყვარდეს ცხოველები და, საერთოდ, ეს მშვენიერი და ლამაზი ბუნება, რომლის ნაწილი თვითონ ჩვენვე ვართ.

ტკბილ ძილს გისურვებ, ჩემო ძვირფასო და თუ მაინცდამაინც სიზმარს ნახავ, იქეცი იმ კეთილ ჯადოქრად, რომელმაც ყველა ცხოველის ენა იცის.

შენი მამა

# ყურადღება, გადაღებას ვიწყებთ!

მას ყველა უბრალოდ „ქეთის“ ეძახის და ისიც ყველასთან ერთნაირია — ხალისიანი, ენერგიული, ენაწყლიანი და გულწრფელი, ადამიანებთან ურთიერთობის დიდი ტაქტი აქვს, უმეგობროდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, თავდადებული დედა და უსაზღვროდ მოყვარული მეუღლეა — აი, რამდენიმე შტრიხი ახალგაზრდა რეჟისორის — ქეთი დოლიძის პორტრეტისა.

მას — ცნობილი კინორეჟისორის, სიკო დოლიძის უმცროს ქალიშვილს, სწორედაც ბევრი აქვს მოსაგონარიც და დანატოვარიც. აი, ზოგიერთი მათგანი:

## მოგონება პირველი

დედა! — ეს სათუთი სახელი ძვირფასი, ტკივილიანი რელიქვიაა ქეთი დოლიძისათვის. ის ექვსი წლისა დატოვა 36 წლის დედამ, ცნობილმა მოღვაწემ თამარ ბირკაძემ, მოულოდნელად გარდაცვლილმა. იგი მაგალითია ქეთისათვის, ქალი, რომელიც 18 წლისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო ახლაც ცოცხლობს შვილის გულში, როგორც სიკეთის, სინაზისა და ქალურობის განსახიერება. — ასე უყვებიან ქეთის დედის მეგობრები.

## მოგონება მეორე

მამა — ხალხმრავალი, სტუმართმოყვარე ოჯახის უფროსი, საინტერესო ხელოვანი, მისი წყალობით მოხდა, რომ ქეთის ბავშვობა ერთი დიდი, მთლიანი და განუწყვეტელი დღესასწაული იყო. ამ დღესასწაულში მონაწილეობდნენ მამის მეგობრები: თამარ მაკაროვა, სერგეი გერასიმოვი, ეროსი მანჯგალაძე, სესილია თაყაიშვილი, მედეა ჯაფარიძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვანი, — ჭეშმარიტად შემოქმედი ადამიანები, თავიანთი დაუცხრომელი ხასიათებით, ფაქიზი, შინაარსიანი ბუნებით.

## მოგონება მესამე

მარჯანიშვილის თეატრში „ურიელ აკოსტას“ წარმოდგენა გაიმართა. ვერიკო ანჯაფარიძე — ივდითი შეუდარებელი გახლდათ როგორც ყოველთვის, მაგრამ მან უეცრად სპექტაკლის მსვლელობისას ხელი მოიტეხა. მაყურებელი ღელავდა, ჩოჩქოლებდა და სპექტაკლის გადადებას ელოდა, მაგრამ ასე არ მოხდა — ვერიკო ანჯაფარიძემ არნახულ ტკივილს გაუძლო და სპექტაკლი გაგრძელდა, მაყურებელი თვალებს არ უჯერებდა. ეს გმირობა იყო, სასწაული, ხელოვნებამ ყველაფერს სძლია...

იმ სპექტაკლს ქეთი დოლიძეც ესწრებოდა, გოგონა გაოგნებული იყო.

## მოგონება მეოთხე

დოლიძეებს მახინჯაურში მამა-პაპური გურული ოდა ჰქონდათ, რომელიც მაღლობზე იდგა, დიდი ბაღით დამშვენებული. ქეთი დოლიძე ხშირად იჯდა იქ მარტო და შორს, თვალუწვდენელი ზღვის დანახვას

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოკა, ქეთი, ვალერიან დოლიძეები



ქეთი შვილებით

ცდილობდა. გარშემო გაყუჩებული, მშვიდი სილამაზე იზიდავდა გოგონას, ასაზრდოებდა მის ფანტაზიას, და შემდეგ, როცა თავის დეიდაშვილ-მამიდაშვილებთან ერთად საშინაო სპექტაკლებს მართავდა, ეს სილამაზე ბუნებრივი დეკორაციები იყო პატარა მსახიობებისათვის. ალბათ იმ დროს ილვიძებდა ქეთის არსებაში მომავალი ხელოვანი.

### მოგონება მეხუთე

მამა ხშირად საქმით იყო დაკავებული. საოჯახო საზრუნავით დატვირთულ გამზრდელ მამიდებსაც არ ეცალათ ზოგჯერ ფიქრიანი გოგონასათვის; ამ დროს ქეთი იდროვებდა, ჩაიკეტებოდა ოთახში, სადაც ძველი ბუხარი და ძალიან ბევრი წიგნი იყო. იქვე დედის პორტრეტი ეკიდა და მისი სული ტრიალებდა, მოიკალათებდა ტახტზე დოლიძეთა ნაბოლარა ასული და კითხულობდა, ფიქრობდა, ოცნებობდა. მას განსაკუთრებით უყვარდა ეს ოთახი. აქ მამის საწერი მაგიდა იდგა. აქ იკრიბებოდნენ დაძმები ყველა მნიშვნელოვანი საოჯახო საკითხის გადაწყვეტისას. აქ საუბრობდნენ ქეთი და მისი მამა ახალ ფილმებზე, წიგნებზე, საინტერესო ადამიანებზე...

ხუთი დაუვიწყარი მოგონება, ხუთი წარუშლელი შთაბეჭდილება, ერთი ბავშვობის ხუთი ნაწილი —აი, რამ ჩამოაყალიბა ქეთი დოლიძის პიროვნება. ეს მოგონებები მისი სულის ორეულებია, მოგონებები და ბავშვობის მეგობრები!

ქეთი დოლიძის მეუღლე — კოკა ბზიავა არ გახლავთ ხელოვანი. ის მეტალურგია. მათი შვილები — თორნიკე და თამარი კი რომელ პროფესიას აირჩევენ, ამაზე ჯერ ადრეა საუბარი, რადგან ისინი ჯერაც არ გადასცილებიან საბავშვო ბაღის ასაკს...

ქეთი დოლიძე საკმაოდ ჯიუტი და მტკიცე გამოდგა პროფესიის არჩევანში. მას საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი რეჟისორობა. პირველად ინგლისური ენის სპეციალობა აირჩია და არც უნანია. უნივერსიტეტში გატარებულმა ხუთმა მშვენიერმა წელმა ხომ ბევრი რამ შესძინა ქეთი დოლიძეს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ მარტო შალვა ნუცუბიძის, მიხეილ კვესელავას და სხვათა ლექციები რად ღირდა! რეჟისორობაზე კი იქ სწავლის დროსაც განუწყვეტლივ ფიქრობდა ქეთი. ამიტომაც ესწრებოდა მიხეილ თუმანიშვილის რეპეტიციებს, როცა რეჟისორმა მათი ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობით „ზაფხულის ღამის სიზმარი" დადგა. შემდეგ თეატრალური ინსტიტუტი, სადაც იგი მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი გახდა... რეჟისორი მოუსვენარი პროფესიის ადამიანია. დიდი შრომა, დაძაბულობა, რუდუნება სჭირდება ყოველ საქმეს, მაგრამ რეჟისორისას — მით უფრო.

მალე სატელევიზიო ეკრანის ტიტრზე გამოჩნდა წარწერა — „რეჟისორი ქეთი დოლიძე". იმ პირველ სპექტაკლს ერქვა „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს" და მასში ქეთის თანაკურსელები თამაშობდნენ — ნანი

ჩიქვინიძე და დათო კვირცხალია. ერთ-ერთ ეპიზოდურ როლში შემთხვევით თვითონ რეჟისორიც აღმოჩნდა, რადგან ამ როლის შემსრულებელი მსახიობი რატომღაც არ გამოცხადდა. სატელევიზიო სპექტაკლი მიიღო მაყურებელმა. ამას კი მოჰყვა ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლი „სისხლიანი ქორწილი“ და სადიპლომო ნამუშევარი „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. ამ ორ სპექტაკლში ქეთის მსახიობობამაც „მოუწია.“

ახლა ქეთი დოლიძე ერთ-ერთი ძლიერი და საინტერესო ახალგაზრდულ-შემოქმედებითი კოლექტივის — კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი გახლავთ. თეატრის რეპერტუარში კი ახლაც არის და წარმატებით იდგმება მისი სპექტაკლი „ვეფხვი“, რომელიც ფსიქოლოგიური ხედვითა და პრობლემათა სიმწვავით გამოირჩევა და ამიტომაც მოსწონს ახალგაზრდობას.

მალე ქეთი დოლიძე ახალ სპექტაკლზე დაიწყებს მუშაობას: ლაშა თაბუკაშვილის პიესაზე „შენსკენ სავალი გზები“. თემა იგივეა — ახალგაზრდობა, მისი ტკივილი და სიხარული, მისი საფიქრალი და საზრუნავი, მისი ზნეობა და მომავალი. აი, რა აღელვებს ქეთის.

გარდა თეატრში მუშაობისა, ქეთი დოლიძეს ფილმებისკენაც მიუწევს გული. უკვე ცნობილია ფილმები „კაცია-ადამიანი“ და „კუკარაჩა“, რომელიც რეჟისორმა თავის მამასთან სიკო დოლიძესთან ერთად გადაიღო. ეს ფილმები მაყურებელს ხიბლავს ზუსტად შერჩეული ტიპაჟით, გამოკვეთილი სათქმელითა და მწვავედ დასმულ საკითხთა წყებით.

ახლა ქეთი დოლიძე ახალ ფილმზე ამთავრებს მუშაობას. ფილმს „ძველი ვალსი“ ჰქვია. მისი სცენარის ავტორი ლაშა თაბუკაშვილი გახლავთ. აღსანიშნავია, რომ ეს პიესა ახლაც წარმატებით იდგმება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. იგი მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ეხება, ახალგაზრდობის მარადიულ თემას — სიყვარულს, სიკეთეს, ურთიერთთანადგომასა და ურთიერთგაგებას ეძღვნება.

ქეთის ერთი ოცნებაცა აქვს — ძალიან უნდა გადაიღოს ფილმი ანდერსენის ცნობილი ზღაპრის „გარეული გედების“ მიხედვით. სულ ახლახან კი, როგორც მსახიობს, ახალი როლი დააკისრა მისმა საყვარელმა რეჟისორმა და სათაყვანო ადამიანმა — მიხეილ თუმანიშვილმა ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღში“.

...აქ, გადასაღებ მოედანზე რეჟისორს ყველა უბრალოდ „ქეთის“ ეძახის და ეს დიდი სიყვარულის გამოხატულებაც გახლავთ.

— ყურადღება, გადაღებას ვიწყებთ! — აცხადებს ქეთი და გადასაღები მოედანი როგორღაც საომარ ველსაც ჩამოჰგავს, სადაც რეჟისორი მთავარსარდლის როლს ასრულებს, ოღონდ ეს მთავარსარდალი ქალია და, თანაც, ახალგაზრდა ქალი...

ირინე კუკავა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგო თომაძე

# წიგნის დედა

წლეულს თბილისის პირველ საშუალო სკოლას დაარსებიდან 150 წელი შეუსრულდა. ამ სკოლის კედლებში ბევრი გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი, ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე აღიზარდა, ბევრი ცნობილი პედაგოგის ცხელი გული დაიფერფლა. სკოლაში აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა ბიბლიოთეკა გახლავთ. ბიბლიოთეკა ეხმარება მოსწავლეს კლასგარეშე საკითხავი წიგნების შერჩევაში, აწვდის წიგნის ანოტაციას, ბიბლიოგრაფიას. იქ, სადაც სასკოლო ბიბლიოთეკა კარგად მუშაობს, მოსწავლეთა საერთო განათლების დონე მაღალია. ახლაც თვალწინ მიდგას, სამამულო ომის წლებში, თბილისის პირველი საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გაყინულ ოთახში, წიგნებთან მოფუსფუსე რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ვარვარა მახარაძე — სიცივისაგან გალურჯებული მისი გრძელი თითები, გაცრეცილი სახე.

ერთხელ სკოლის დირექტორი, ჯაჯუ ჯორჯიკია შემოვიდა ბიბლიოთეკაში, უსაყვედურა, უდისციპლინობაში შემჩნეულ მოსწავლეებს მფარველობო. ვარვარა სახეზე წამოწითლდა:

— თქვენგან არ მიკვირს ბ-ნო ჯაჯუ. ასეთი დიდი პედაგოგი და ფსიქოლოგი მაინც არ იყოთ. ხომ ხედავთ რა მძიმე დღეებია. ბავშვები წიწილებივით ეძებენ სითბოს. ყველამ რომ ხელი ავუკრათ, სად წავა? არა ჯობია აქ, წიგნებთან მყავდეს, ვიდრე ამ ყინვაში ქუჩაში უპატრონოდ იხეტიალონ. დირექტორი ცოტა ხანს სდუმდა. მერე ბიბლიოთეკარს თვალი გაუსწორა და ჰკითხა: — ახლა თუ გყავს ვინმე შეფარებული? — ვარვარა უხერხულად შეიშმუშნა, — არაო, თავი გაიქნია. დირექტორს გაეღიმა, გუმანით იგრძნო, თაროებთან ვიღაც იყო... ჯაჯუ ჯორჯიკიამ ზოგ-ზოგჯერ მოუწესრიგებელი მოსწავლეების „მოსაწესრიგებლად“, თვითონაც იცოდა ასეთი „შეფარვები“, — ბავშვის სინდისზე მინდობა.

დირექტორი რომ გავიდა, რაღაცამ გაიფაჩუნა. თაროებთან ბიბლიოთეკარის ლურჯ ხალათში შეფუთნული გოგონა იჯდა და წიგნს კითხულობდა. მთელი საათი შეიძლებოდა გეცქირათ, როგორ მუშაობდა ბიბლიოთეკარი ბავშვებთან. ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი პროცესი. ვარვარა თითქმის ყველა წიგნს იცნობდა. წიგნის გაცემისას ბავშვს ანოტაციას აძლევდა, წიგნის უკან ჩაბარებისას შეკითხვებს უსვამდა, ავალებდა დაეწერა, რა მოეწონა, საოცრად დახვეწილი ფრაზა ჰქონდა. ერთი სხარტი, მოქნეული წინადადებით შეეძლო სამუდამოდ მოეგო ბავშვის გული; ცდილობდა კეთილი გავლენა მოეხდინა ყველაზე. მეტად ერუდირებული, განათლებული, გონებამახვილი გახლდათ. მახსოვს, ერთხელ ციცქნა, პირველკლასელი ბიჭი შემოვიდა, „გვრიტი“ მინდაო; მოუტანა, ბავშვი კი იქვე, მის წინ მაგიდაზე მდებარე სქელ წიგნს დასცქეროდა. — აი, მოგიტანე „გვრიტი“, — უთხრა ბიჭუნას. ბავშვმა მუდარით შეხედა და მორიდებით ჰკითხა: — შეიძლება, ეს სქელი წიგნი მომცეთ?

— რად გინდა, ჯერ ხომ კითხვა კარგად არ იცი?

— მამასთვის მინდა, წაიკითხავს და მიამბობს. — მიუგო პატარამ. ვარვარამ დაკვირვებით შეათვალიერა ბავშვი. მერე წიგნს დახედა. ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ იყო. — კარგი, მოგცემ მამასათვის წიგნს, ოღონდ არ დაკარგო, რომ წაიკითხავს, მომიტანე. ბავშვი რომ გავიდა, ვკითხე, რატომ არ აუხსენი დიდებისათვის ცალკე ბიბლიოთეკა რომ არსებობს მეთქი.



— რას ამბობთ, — მომიბრუნდა აღელვებული, — ოც წელიწადზე მეტია აქა ვმუშაობ და ჯერ არ მინახავს, რომელიმე ბავშვს მამაზე ეზრუნოს, წიგნი ეთხოვოს. ასეთ კეთილშობილ გრძნობას ყმაწვილს როგორ ჩავუკლავ?! ერთი წიგნი კი არა, მთელი ბიბლიოთეკა რომ ეთხოვა, გავატანდი! — ჯერ საუბარი არ დაემთავრებია, ქოჩორა ბიჭუნა შემოვიდა და „კაკო ყაჩაღი" სთხოვა.

— ასეთი წიგნი არა გვაქვს. სრული სათაური მითხარი — ბიჭი შეყოყმანდა. — ვერ მოვიგონე, — სთქვა ბოლოს.

—„რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან" თუ გაგიგონია?

— მასწავლებელმა გვითხრა, მაგრამ გრძელი სათაური იყო და ჩაწერა დამეზარა.

— როგორ თუ დაგეზარა, — გაჯავრდა ვარვარა. — დიდმა ილია ჭავჭავაძემ ეს პოემა, ვიდრე დაიბეჭდებოდა თექვსმეტჯერ გადაწერა, შენ ვინა ხარ, რომ სათაურის დაწერა დაგეზარა. არ მოგცემდი ამ წიგნს ახლა, დაგსჯიდი, მაგრამ ხვალ გაკვეთილი არ გეცოდინება და ორიანს მიიღებ!

ასეთი პილპილმოყრილი მადლი იცოდა ოთარაანთ ქვრივივით ბიბლიოთეკის გამგემ, მაგრამ ბავშვები გრძნობდნენ, რომ ეს შენიშვნები და წკიპურტები, კეთილი გულიდან მოდიოდა და უყვარდათ დეიდა ვარია. იმდენად უყვარდათ, რომ სკოლის დამთავრების შემდეგაც არა წყვეტდნენ მასთან კავშირს და მიწერ-მოწერას. თბილისის პირველი საშუალო სკოლის ყოფილი მოსწავლის, ავთო ყიფიანის წერილში ვკითხულობთ: „დეიდა ვარია, მე არასოდეს დამავიწყდებით. თქვენმა სამკითხველომ, თქვენმა საუბრებმა, თქვენმა შერჩეულმა წიგნებმა, მხოლოდ სიკეთე მომიტანეს. შემაყვარეს პოეზია".

ომის შემდეგ ხშირად მიხდებოდა შევლა თბილისის პირველი საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში. მას მდიდარი წიგნადი ფონდი ჰქონდა და საბავშვო წიგნის ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის მჭირდებოდა. მხიბლავდა ბიბლიოთეკარის მუშაობა ბავშვებთან. ერთი-მეორეს ცვლიდნენ საინტერესო ეპიზოდები. მახსოვს ბიბლიოთეკაში შემოვიდა მშვენიერი გარეგნობის მოსწავლე, ხელში „ევგენი ონეგინი" ეჭირა. ვარიამ ცოტა უნდობლად შეხედა. — გუშინ წაიღე და უკვე წაიკითხე? აბა, თუ კარგად წაიკითხე, მითხარი მეჯლისში, როგორი კიბით ავიდა ევგენი ონეგინი, და ის კიბეც მითხარი, როგორი იყო ტატიანასაგან გაწბილებული, ოთახიდან რომ გაიქცა და კიბეზე დაეშვა? — ბიჭმა დაუფიქრებლად, სწრაფად მიუგო:

— როგორი უნდა ყოფილიყო, ორივე მარმარილოსი იყო.

— შენ არქიტექტორობაზე ოცნებობ. არქიტექტორი გინდა გამოხვიდე. „ევგენი ონეგინი" კლასიკური ნაწარმოებია. როგორ არ დაინტერესდი, როგორი ფანჯრები, სადარბაზოები, კიბეები ჰქონდათ პუშკინის დროს მოდურ სასახლეებს? წაიღე ეს წიგნი და კიდევ გადაიკითხე, — უთხრა და წიგნი გაუწოდა. მერე ჩემსკენ შემობრუნდა და მითხრა: — რობოტი ხომ არა ვარ, წიგნი მექანიკურად გავცე და მივიღო. წიგნის კითხვა რომ შევაყვარო, მის სიკეთეშიც ხომ უნდა გავარკვიო?

საბავშვო მწერალი ილია სიხარულიძე ღიდხანს ასწავლიდა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას. იგი მოხიბლული იყო ვარვარა მახარაძის მუშაობით. „წიგნის დედას" ეძახდა. ლექსიც მიუძღვნა ამავე სათაურით, რომელიც ასე მთავრდება: —

„სურს დეიდა ვაროს წიგნი შეგვაყვაროს,
და ჩვენც გვიყვარს წიგნი;
სწავლის, ცოდნის წყარო.
წიგნებს რამე ავნოს,
აბა ვინ გაბედავს?!
ამიტომაც ჰქვია
ვაროს წიგნის დედა".

ერთხელ ვარვარას ვკითხე, — როდის დაიწყეთ მუშაობა პირველი სკოლის ბიბლიოთეკარად მეთქი. გაეღიმა. თვალებში მხიარულმა ნაპერწკლებმა გაუელვა: — ზაფხული იყო, პირველ სკოლაში ბიბლიოთეკარის ადგილიაო მითხრეს. რაც შემეძლო გამოვეწყვე: ჩავიცვი თეთრი, მაქმანებით მორთული მარკიზეთის კოფთა, გავიკეთე თეთრი ხელთათმანები, დავიხურე პანამის ქუდი (შლიაპა) და სკოლისაკენ გავეშურე. დირექტორი — სულ ახალგაზრდა კაცი, შოთა დავითაია თავჩაღუნული რაღაცას წერდა. — შეიძლება თქვენთან? — ვკითხე, კაბინეტის ღია კართან შეჩერებულმა.

— მობრძანდით, — მიპასუხა. თავი ასწია; კალამი დადო და გაოცებული შემომაჩერდა. — ბოლოს, რა გნებავთო, მკითხა.

— ბიბლიოთეკარის ადგილი გქონიათ და მუშაობა მინდა დავიწყო.

— ამ ხელთათმანებით გინდათ იმუშაოთ?! — სწრაფად წამოდგა, გასაღებს ხელი დაავლო, აბა მომყევითო მითხრა და ოთახიდან გამოვიდა. გარბოდა, მეც მივსდევდი. გააღო ლამაზად მოჩუქურთმებული დიდი კარი: — აი, ეს არის ჩვენი ბიბლიოთეკა, — მომახსენა. შიგ მართლაც დიდი არეულობა იყო, ყველაფერი მტვერს დაეფარა, — ხედავთ, რამდენი სამუშაოა?

ერთ კვირაში ისე დავალაგე და დავაწკრიალე ყველაფერი, რომ მეორედ რომ შემოიხედა სახეგანათებულმა, სიცილით მითხრა — — გცოდნიათ მუშაობა, იმ თქვენმა გრძელმა ხელთათმანებმა კინაღამ არ შემაცდინა?

35 წელიწადი იმუშავა ვარვარა მახარაძემ თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. მრავალმა თაობამ გაიარა მის ხელში. და ყველას რაღაც სახსოვარი დაუტოვა. შვილებიც კარგი დაუზარდა სამშობლოს. მისი ქალიშვილი გუგა მახარაძე მასწავლებელია. ვაჟს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კოტე მახარაძეს კი ჩემი კომენტარი არა სჭირდება, თავად არის საუკეთესო კომენტატორი და მარჯანიშვილის თეატრის წამყვანი მსახიობი, კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში, მთელს საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფტექნიკურის დიპლომით



მკერავი ნინო ჩობალაური

მუხა-იფნებით დაჩრდილულ მომცრო მინდორზე სახელდახელო ტრიბუნა აღმართულა. გომბორ-გორანელი და კოჭბაანელი ფშავ-ხევსურები ვაჟაობას ზეიმობენ. ჩობალაურთა ოჯახური ტრიო სასიმღეროდ მოემზადა, ხალხი გაირინდა. დებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს და ნელი ხმით წამოიწყეს:

„იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!..“

წელიწადის ამ დღეს აუცილებლად ეწვევიან ხოლმე სოფელს სხვადასხვა მხარეს წასულ-წამოსული დები და ლაზათს მატებენ დღესასწაულს. მარტო სიმღერით არ გამოირჩეოდნენ საგარეჯოს რაიონის სოფელ გორანაში ნიკოლოზ ჩობალაურის შვილები: პატარაობიდანვე გვერდში ედგნენ მშობლებს და ერთადერთ ძმას დობასაც უწევდნენ და ძმობასაც. არც ცხვრის მწყემსვას თაკილობდნენ და არც ნახირში სიარულს, ეზო ქათამ-ინდაურით იყო სავსე და ერბო-კარაქიც წლითიწლობამდე გასდევდათ. განსაკუთრებით ზაფხულში, მარჯვობდნენ გოგონები, სკოლიდან თავისუფალ დროს ან საზაფხულო იალაღებზე მიჰყვებოდნენ მამას, ანდა, შინ დარჩენილები, ზამთრის სარჩოს მოგროვებაში ეხმარებოდნენ დედას.

ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინათ დღევანდელივით როდი იზიდავდა პროფტექნიკური სასწავლებელი ახალგაზრდობას. მაგრამ ვინც მიდიოდა, პროფესიის დაუფლების დიდი სურვილით მოდიოდა და შრომის სიყვარული მიჰყვებოდა ოჯახიდან. მათი უმრავლესობა მრავალშვილიანი ოჯახებიდან იყო და კარგად იცოდა შრომის ფასი. სწორედ იმ წლებში ეყრებოდა საფუძველი პროფსასწავლებლის ავტორიტეტს. ერთ-ერთი, ვინც განამტკიცა ეს ავტორიტეტი, ნინო ჩობალაურია. მან თბილისის 85-ე პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და ქალისა და კაცის ზედა ტანსაცმლის კერვას დაეუფლა. 1969 წელს პროფესიონალი მკერავის დიპლომით ნინო ჩობალაური თანაჯგუფელებთან ერთად თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონში“ მივიდა.

თავდაპირველად ნინო სპორტულ შარვლებზე ჯიბეს აკერებდა და ხანდახან ბოლოსაც შემოუკეცავდა ხოლმე. თითქმის მობეზრდა კიდევაც ერთიდაიგივე სამუშაო, მაგრამ ჩვეული გულმოდგინება და ოჯახიდან გამოყოლილი შრომისმოყვარეობა ათმენინებდა. მხოლოდ ერთ მანქანაზე შეეძლო მუშაობა, სხვა მანქანებისა არაფერი გაეგებოდა და არც ანდობდნენ. ბოლოს მასწავლებელს ნატო გვიმრაძეს გაუმხილა სურვილი და, შესვენების დროს, თუ სამუშაოს დამთავრების შემდეგ მიუჯდებოდა ამ რთულ მანქანას. მასწავლებლის დახმარებით მალე გაიწაფა ხელი და ერთ წელიწადში ყველა ოპერაცია აითვისა, მერე კი ყველა მანქანა შეისწავლა და სამკერვალო საამქროს ფართო პროფილის მკერავებს ამოუდგა მხარში.

საამქროში მხოლოდ ტრიკოტაჟის ქსოვილისაგან იკერება ქალის, ბავშვისა და კაცის ტანსაცმელი. გაერთიანების სამხატვრო განყოფილება ახალ-ახალ მოდელებს სთავაზობს მკერავებს, შესრულების ხარისხი კი მათზეა დამოკიდებული. საკმარისია ერთი გამრუდებული ხაზი, ერთი ზედმეტი ნაოჭი, მცირედი შეცდომა, რომ შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახოს საწარმოს ავტორიტეტი. დღევანდელი მომხმარებელი დახვეწილგემოვნებიანია. რაც დრო გადის, უფრო მეტი მოთხოვნილებაა ტრიკოტაჟის ტანსაცმლისა, რადგან ის სახმარადაც პრაქტიკულია და ელეგანტურიც გახლავთ. ჩვენს მაღაზიებში უხვად არის სამამულო თუ იმპორტული ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომელსაც ბახტრიონულმა ტანსაცმელმა თამამი მეტოქეობა უნდა გაუწიოს. ნინოს და მისი კოლექტივის მთავარი მიზანი მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამზადებაა. ამ თხუთმეტი წლის მანძილზე არასოდეს ყოფილა ნინოს ნახელავი წუნდებული. თანაც, არც რაციონალიზატორის ალღო აკლია მკერავს. სულ იმას ცდილობს, როგორმე გააადვილოს შრომა. ქალის ბლუზების კერვისას მუშები დიდ დროს ჰკარგავდნენ მხრის ნაკერის დამუშავებაში — ჯერ პარალელურ გვირისტებს ავლებდნენ, შემდეგ მათ შუა ხელით იყრებოდა ზონარი და ბოლოში ბაფთასავით იკვრებოდა. ნინომ გააიოლა ეს პროცესი. ახლა ერთდროულად ხდება გვირსტის გავლება და ზონარის ჩაყოლება. ამ სიახლით ძვირფასი დროც დაიზოგა და წარმოებამაც 1200 მანეთის ეკონომია მიიღო. ნინოს წინადადებითვე გაუმჯობესდა ლავსანის კაბის კერვის ტექნოლოგია და 528 მანეთი დაიზოგა, ხოლო ქალის ბლუზის კერვის ტექნოლოგიის შეცვლით ეკონომიამ 1000 მანეთს მიაღწია.

ნინო კარგი მუშაც არის და კარგი მეგობარიც. ყველას გვერდში უდგას, ყველას ჭირსა და ლხინს იზიარებს. სიყვარულით ლაპარაკობს მასზე სოფიკო მიქელაშვილი:

„ქიმიური ტექნიკუმი დავამთავრე და ფიზიკის ინსტიტუტში პრაქტიკაზე ყოფნისას ალერგია დამემართა. აქ დროებით მოვედი სამუშაოდ, თვალი ჯაქცევაზე მეჭირა. ისე მოხდა, რომ ნი ო გახდა ჩემი დამრიგებელი, თანაც ისეთი, რომ აი უკვე ექვსი წელიწადია ვმუშაობ და არც ვაპირებ სხვაგან წასვლას. ახლა კომუნისტური პარტიის რიგებში შესასვლელად ნინო მაძლევს რეკომენდაციას. მის სიტყვას კი ფასი აქვს გაერთიანებაში".

კომუნისტური პარტიის წევრი, თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს ყოფილი დეპუტატი, „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი ნინო ჩაბალაური 32 წლისაა და საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფია აქვს. მისი შრომა და ცხოვრება სამაგალითოა ს ებისათვის. გაერთიანების პარტბიუროს მდივანი დალი დიდებულიძე წინათ ნინოსთან ერთად მუშაობდა საამქროში, კარგად იცნობს და პირველმა დაუჭირა მხარი მის კანდიდატურას, როცა საამქროს პარტბიუროს მდივნად დაასახელეს.

...გაისად ისევ იზეიმებენ გორანელები ვაჟაობას. ისევ გამოვლენ სიმღერით დები ჩობალაურები და გაიხსენებენ დიდი წინაპრის ლექსებს.

ლაურა არჩემაშვილი

## დიდი სამამულო ომის დამთავრების 40 წლისთავისათვის

# სამშობლოსათვის თავდადებული



სოფიო იმნაძე ლანჩხუთის რაიონის სოფელ გვიმბრალაურში დაიბადა. ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როგორც ექთანი, თავის რაიონს დაუბრუნდა. შემდეგ სწავლის გაგრძელება მოისურვა და თბილისში ჩამოვიდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მოეწყო, თან ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში მუშაობდა.

სამამულო ომის დაწყებისთანავე სოფიო ფრონტზეა როგორც 417-ე მსროლელი დივიზიის 351-ე მესანგრეთა ბატალიონის ფერშალი.

1942 წლის აგვისტოში 417-ე დივიზია ბრძოლებში ჩაება ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით. 29 სექტემბერს მშობლებისადმი გამოგზავნილ წერილში სოფიო წერდა: „მე ძალიან კარგად ვარ, მიმიღეს პარტიის რიგებში... ცოცხალი მტერს არ დავნებდები და თუ მოვკვდები, დაე, მოვკვდე სამშობლოსათვის."

დაძაბული დღეები იყო. მტერი მთელი სისასტიკით უტევდა კავკასიას, სისხლით მოირწყო თერგის მიდამოები. კომუნისტი ოფიცერი სოფიო იმნაძე გმირულად იბრძოდა.

„მე ჯერ სიკვდილი არ მეკარება, — წერდა იგი მშობლებს, — უკვე შევეჩვიე ფრონტულ ცხოვრებას. მტერი გააფთრებით უტევს ჩვენს უბანს, მაგრამ ჩვენ არ ვაძლევთ თერგზე გადმოსვლის საშუალებას და დიდ ზარალსაც ვაყენებთ".

მესანგრეთა ბატალიონში მუშაობა ქალიშვილისათვის მეტად მძიმე იყო. ამიტომ სოფიოს იმავე დივიზიის 520-ე სამედიცინო სანიტარულ ათასეულში გადასვლა შესთავაზეს, მაგრამ მამაცმა ქალიშვილმა უარი თქვა და კვლავ მესანგრეთა ბატალიონში დარჩენა ისურვა.

1943 წლის 1 იანვარს ერთობლივი დარტყმით ჩვენმა ჯარებმა მტერი განდევნეს მოზდოკიდან.

საბჭოთა ჯარების წინსვლით აღფრთოვანებული სოფიო იმნაძე ოჯახში იწერებოდა: „ალბათ გაზეთებიდან გაიგებდით, რომ წითელმა არმიამ ფაშისტებისაგან გაათავისუფლა მოზდოკი და მის ახლოს მდებარე ქალაქები. ამ ფრონტზე პირველი ჩვენ ვიდექით... თუ წერილს დაუგვიანდეს, არ შეშინდეთ".



1947-71
სსრ კ. მარქსის
სახ. საჯ. ბიბლ.

ეს იყო სოფიოს უკანასკნელი ბარათი. ქ. ტიხორეცკთან გაფოთრებული ბრძოლების დროს სოფიო მძიმედ დაიჭრა. მედიცინის მუშაკებმა მზრუნველობა არ დააკლეს, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. ფრონტელმა მეგობრებმა და მათ შორის ქართველებმა: ნიკოლოზ ცერცვაძემ და ვასო ბარათელმა საგანგებოდ მორთეს ქალიშვილის ცხედარი და სოფელი ნოვოლეუშკოვოში მხედრული პატივით მიაბარეს მიწას.

რუსი ხალხი 39 წლის მანძილზე სათუთად უვლიდა ქართველი ქალიშვილის საფლავს. ძმებმა მოინახულეს დის საფლავი და ქართული მიწა მოაყარეს, შემდეგ კი ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება გადაწყვიტეს.

1982 წლის 12 ივნისს ზღვა ხალხი მოაწყდა სოფელ გვიმბრალაურს. ლანჩხუთელებთან ერთად აქ იყვნენ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები, რათა პატივი ეცათ სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, შინმოუსვლელი ქალიშვილის ხსოვნისათვის.

საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიდნენ დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, ჯარისკაცები, მოსწავლეები. განახლდა ტკივილი. სოფიოს დებს თამარს, გოგუცას, ძმებს, — ალექსანდრეს, აკაკის ხელახლა გაეხსნათ გულის იარა.

ბევრი თბილი სიტყვა წარმოთქვეს სამგლოვიარო მიტინგზე. სოფიოს ნეშტი პატივით ჩაასვენეს მშობლიურ მიწაში.

გმირები არა კვდებიან, მათს სახელებს შთამომავლობა ინახავს.

**მარგო კიკაბიძე**

## • კაპიტალის სამყაროში • კაპიტალის სამყაროში • კაპიტალის სამყაროში

კაპიტალის სამყაროში • კაპიტალის სამყაროში • კაპიტალის სამყაროში

# „საპატარძლოებით" ვაჭრობა

პარიზის ჟურნალმა „ფიგარო მაგაზინმა" სამი გვერდი მიუძღვნა მორიგ სენსაციას: დასავლეთგერმანელმა ფხიანმა საქმოსანმა გიუნტერ მენგერმა მარტოხელა ევროპელებისათვის ფართოდ გაშალა „საპატარძლოების" იმპორტი აზიის ქვეყნებიდან — მეტწილად ფილიპინებიდან და ტაილანდიდან.

მისი ფირმის კატალოგებში უხვად არიან წარმოდგენილნი „ეგზოტიკური, ნაზი, ალერსიანი" ქალიშვილები. „საპატარძლოს" ღირებულება „რამდენიმე ათასი გერმანული მარკაა. ნებისმიერ მარტოხელა ევროპელს ფერადი ფოტოებით მდიდრულად ილუსტრირებული კატალოგის მიხედვით შეუძლია აირჩიოს ქალიშვილი, რომელიც ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ დაიხსნას თავისი ოჯახი შიმშილისა და გაჭირვებისაგან".

ფოტოსურათებს თან ერთვის ასეთი მოკლე ცნობები: „ლილია რამოსი, 19 წლისა, სიმაღლე 1მ. 57 სმ, წონა 55 კგ, სტუდენტი;" „ელვირა ოკლიმა, 25 წლის, სიმაღლე 1 მ. 54 სმ, წონა 50 კგ, გამყიდველი"; „პადილია მარენი, 19 წლისა, სიმაღლე 1 მ. 60 სმ, წონა 50 კგ, ლაბორანტი"; „იზაბელა პარტოზა, 28 წლისა, სიმაღლე 1 მ. 57 სმ, წონა 47 კგ, მდივანი".

— „სხვები ჩაითა თუ კოკოსით ვაჭრობენ, — გვამცნობს ჟურნალი, — მიუნსტერელი გიუნტერ მენგერი კი — ქალებით. ის ულტრათანამედროვე ბიუროს მეპატრონეა — თავისი მდივნებით, თარჯიმნებით, კომპიუტერებით, ფოტოალბომებით და, ამასთან, მყუდრო ბარით, სადაც ეწყობა მომავალი მეუღლეების პირველი შეხვედრები". ამ „ეგზოტიკური" ფირმის კლიენტები არიან დასავლეთგერმანელები, შვეიცარიელები, ფრანგები.

მარტოხელა ევროპელების მიერ კატალოგის მიხედვით ამორჩეული საპატარძლოები გიუნტერ მენგერის სააგენტოს მეშვეობით იღებენ გაწვევას და თვითმფრინავის ორ ბილეთს: ერთს ტაილანდიდან თუ ფილიპინებიდან გფრ-მდე, ხოლო მეორეს... უკან დასაბრუნებლად, როდესაც მეუღლეს მობეზრდება ეგზოტიკური ცოლი და მის თავიდან მოშორებას მოისურვებს.

ეს ბიზნესი ფრიად ხარფიანი გამოდგა. და აი, უკვე საქორწინო გარიგებების მეორე შუამავალმა რუდოლფ გრიუნტერმა ასეთივე კანტორა გახსნა. მან სამი წლის განმავლობაში აზიიდან 860 „საპატარძლო" ჩამოიყვანა ევროპაში. ყოველ მათგანში კლიენტმა მას 7842 დასავლეთგერმანული მარკა გადაუხადა.

სენტიმენტალური გრძნობებით შეპყრობილი ეს შუამავალი თანაუგრძნობს თავის ცოცხალ საქონელს: „ეს ქალები, — ამბობს იგი, — დიდ რისკზე მიდიან — სტოვებენ ყველაფერს და მიემგზავრებიან უცხო ქვეყანაში, რომლისა არც ენა იციან, არც ზნე-ჩვეულებები". თუმცა ეს მგრძნობიარე სიტყვები გრიუნტერს, ისევე, როგორც მენგერს, ხელს არ უშლის „საპატარძლოებით" ვაჭრობაში და ამ გზით გამდიდრებაში.

იმავე თემას გაუნაწილა ყურადღება პარიზის გაზეთმა „მატენმა", რომელმაც თავისი კორესპონდენტი მიავლინა ჰონკონგში — როგორც გამოირკვა „საპატარძლოებით" ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრში. „აზიელი ქალები ხარფიანი საქონელია დასავლეთის ბაზარზე, — აცნობათ იქიდან გაზეთის თანამშრომელმა კატრინ ანტუენმა.—მათ მორჩილებისათვის აფასებენ. აი, რატომ აკეთებენ დიდ საქმეებს სპეციალიზებული სააგენტოები, რომლებსაც გამოჰყავთ „საპატარძლოები" ჰონკონგიდან და მანილიდან.

ვინმე ლუ ფლორანსის მიერ ლოს ანჯელესში დაარსებულმა სააგენტომ „ამერიკან-ეიშენ უორლდუაიდ სერვისმა" 1980 წლის იანვარში დიდი საქმიანობა გააჩაღა. ავსტრალიელი მეწარმის მიერ შექმნილმა მეორე სააგენტომ განაცხადა, რომ მის კარტოთეკაში 25 000 „საპატარძლოა", თითოეული 6600 ფრანკად ღირებული, რომელთა გასაცნობად კლიენტების განკარგულებაშია კომპიუტერის მეხსიერებაში ყოველ მათგანზე შემონახული ცნობები და ვიდეოკასეტებიც.

რა არის მიზეზი ასეთი ვაჭრობის წარმატებისა? ამ შეკითხვაზე, „ფიგარო მაგაზინის" რეპორტაჟის ავტორი უპასუხებს: „მართალი უნდა ითქვას, თუ დასავლეთელი კაცები სულ უფრო აჩერებენ თავიანთ არჩევანს აღმოსავლელ ქალებზე, ეს იმიტომ, რომ იქ ქალებს ჯერ კიდევ არ შეხებიათ „განთავისუფლება" და მომთმენნი, ქმრის უსიტყვოდ მორჩილნი არიან".

ქალს რაღა აიძულებს გაემგზავროს შორეულ ევროპაში, უცნობი ადამიანის მორჩილებაში, რომელმაც ის ილუსტრირებული კატალოგის მეშვეობით შეარჩია? ჟურნალი „ფიგარო მაგაზინი" იძულებულია აღიაროს, რომ ქალების ეს ნაბიჯი უკიდურესი გაჭირვების, მათხოვრული არსებობის ბრალია. გაზეთი „მატენი" დასძენს, რომ, მაგალითად, ფილიპინებზე საშუალო თვიური ხელფასი 400 ფრანკამდეა, ხოლო უმუშევრები მოსახლეობის 40 პროცენტს შეადგენენ. ბევრი „საპატარძლო" იმედოვნებს, რომ შესძლებს დაეხმაროს სამშობლოში დარჩენილ ოჯახს...

ასეთია ამ ახალი ბიზნესის მეორე მხარე, რომელსაც პარიზის ინფორმაციის საშუალებებმა ფართო რეკლამა გაუწიეს.

გაზეთი „პრავდა".

• კაპიტალის სამყაროში • კაპიტალის სამყაროში • კაპიტალის სამყაროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკვეთრად შევამციროთ წითელათი ავადობა

ინფექციურ ანუ გადამდებ დაავადებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე. წ. „ბავშვთა ინფექციებს“: დიფთერიას, ყივანახველას წითელას, ყბაყურას და სხვა.

ეს დაავადებები ჰაეროვან-წვეთოვანი გზით ვრცელდება; ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი, რომელიც ხველების, ცხვირის ცემინების და ლაპარაკის დროს, ნერწყვთან ერთად ჰაერში მიმოფანტავს მიკრობებს, რომლებიც ჩასუნთქვისას ადამიანის ცხვირ-ხახის ლორწოვანზე მოხვდებიან და იწვევენ დაავადებას. დაავადება შეიძლება გავრცელდეს იმ საგნებითაც (ჭურჭელი, სათამაშოები და სხვა), რომლებსაც ავადმყოფი ხმარობს.

ბავშვთა ინფექციებიდან დღემდე პრობლემად დარჩა წითელა, რომელზე გამარჯვებაც გადაუდებელ ამოცანად ითვლება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მოსახლეობაში შემორჩენილია მცდარი შეხედულება, თითქოს წითელას „მოხდა“ სავალდებულოა; ამ აზრს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ...

წითელათი დაავადების ნიშნები ყველასთვის კარგად არის ცნობილი. პირველ დღეებში თვალის ლორწოვანი გარსის ანთება (კონიუნქტივიტი), სურდო, მშრალი ხველება, თავის ტკივილი და ტემპერატურის მომატება 37,5-38 გრადუსამდე. 3-5 დღის შემდეგ კატარალური მოვლენები და კონიუნქტივიტი ძლიერდება, ტემპერატურა მაღლა – 39, 39,5 გრადუსამდე იწევს. ავადმყოფს აქვს სინათლის შიში, ეწყება წვრილწინწკლოვანი გამონაყარი ჯერ სახეზე, ყელზე, შემდეგ გულმკერდზე,ზურგზე, მუცელზე, ხელებზე და, ბოლოს ფეხებზე. გამონაყარი პირველ ხანებში უფრო მკვეთრია, 4-5 დღის შემდეგ ფერმკრთალდება და თანდათანობით ქრება იმავე თანმიმდევრობით, როგორც თავიდან დაიწყო. ტემპერატურა ნორმალური ხდება და ავადმყოფი გამოჯანმრთელდება.

მოზარდები, მოზრდილები და ის ბავშვები, რომლებიც ხშირი ავადმყოფობის გამო დასუსტებულნი არიან – წითელას შედარებით მძიმე ფორმით იხდიან. აქვთ ძლიერი თავის ტკივილი, გულისრევა, პირღებინება, ცხვირიდან სისხლის დენა, უძილობა...

წითელათი დაავადების ხანგრძლივობა ჩვეულებრივ 7-10 დღით განისაზღვრება, თუ ავადმყოფს დაერთო ფილტვების ან შუა ყურის ანთება, უმჯობესია საავადმყოფოში მოვათავსოთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთი დედა და ბებია ყოველთვის ზუსტად არ ასრულებს ექიმი-პედიატრის მითითებებს ან თვითონ იწყებს ავადმყოფის „მკურნალობას“, რაც შეიძლება საბედისწერო გახდეს, ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ რომ ბავშვის დაავადებისთანავე ბინაზე გამოვიძახოთ უბნის პედიატრი და არავითარ შემთხვევაში არ შევუდგეთ „მკურნალობას“. ზუსტად შევასრულოთ ექიმის ყოველგვარი დანიშნულება და მითითება.

1983 წელს საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულია ახალი პროგრამა წითელათი ავადობის შემცირებისა და მისი ერთეულ შემთხვევამდე დაყვანის შესახებ. ამ პროგრამის თანახმად გათვალისწინებულია ბავშვთა მასობრივი აცრები. საბჭოთა კავშირში წითელას საწინაალმდეგო მასობრივი აცრები 1967 წლიდან დაიწყო. რის შედეგადაც ავადობა რამდენჯერმე შემცირდა. მაგრამ დღემდე გვხვდებიან გაუმართლებელი მიზეზით აუცრელი ბავშვები.

წითელას საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც საბჭოთა კავშირში მზადდება და დღემდე ფართოდ იხმარება ძალიან ეფექტურია. მისი შეყვანით ორგანიზმი გამოიმუშავებს ისეთივე შეუვალობას (იმუნიტეტს), როგორიც წითელათი დაავადების გადატანის შემდეგ. წითელას ვაქცინას არა აქვს რაიმე გვერდითი მოვლენები, იშვიათად, აცრიდან, 9-12 დღის შემდეგ, ბავშვს შეიძლება უმნიშვნელოდ აეწიოს ტემპერატურა და სხეულზე ოდნავ გამოაყაროს. აცრის შემდგომი ასეთი რეაქცია გრძელდება 2-3 დღეს, შემდეგ კი თავისთავად გაივლის.

პროფილაქტიკური აცრების კალენდარული სქემით (რომელიც ძალაშია 1980 წლიდან) – წითელას საწინააღმდეგო ერთჯერადი აცრა 15-18 თვის ასაკიდან იწყება. აცრას ექვემდებარება 14 წლამდე ყველა ბავშვი, რომელსაც არ გადაუტანია წითელა. წითელას საწინააღმდეგო აცრებისაგან ბავშვები შეიძლება განთავისუფლდნენ ამა თუ იმ დაავადების მწვავე პერიოდში, ან ქრონიკული დაავადების გამწვავებისას. ასეთ ბავშვებს აცრა ჩაუტარდებათ გამოჯანმრთელებიდან ან გამწვავების ჩამთავრებიდან არა უადრეს ერთი თვისა.

პატივცემულო მშობლებო! ნუ ეცდებით აარიდოთ ბავშვი წითელას საწინააღმდეგო აცრას. თქვენს ბავშვთა პოლიკლინიკაში დააზუსტეთ, როდის უნდა ჩაუტარდეს ეს აცრა და ნუ გადააცდენთ დანიშნულ ვადას. წითელას საწინააღმდეგო ვაქცინა – მაღალეფექტიანი პრეპარატია, რომელიც არ იძლევა არასასურველ გვერდით რეაქციას.

უნდა გვახსოვდეს, დღეს, როდესაც ინფექციურ დაავადებებს წარმატებით ვმკურნალობთ, პროფილაქტიკური აცრების მნიშვნელობა ოდნავადაც არ მცირდება, რადგან ყველაზე ეფექტურ მკურნალობასაც არ შეუძლია გაუწიოს კონკურენცია ამ დაავადებისაგან დამცველ საშუალებას – პროფილაქტიკურ აცრებს.

თანამედროვე მედიცინის სწრაფი განვითარების წყალობით, შორს არ არის ის დრო, როდესაც შესაძლებელი იქნება ლაპარაკი წითელათი დაავადების მხოლოდ ერთეულ შემთხვევებზე, ანალოგიურად დიფთერიით დაავადებისა, მაგრამ რა დიდიც არ უნდა იყოს სამედიცინო მეცნიერების მიღწევები, იგი საკმარისი არ იქნება თუ ყველა მშობელი შეგნებულად არ მიუდგება წითელას საწინააღმდეგო აცრის აუცილებლობას.

ნუნუ ლეჟავა,
საქალაქო სანეპიდსადგურის ეპიდემიური განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

# მსახიობი მუშათა აუდიტორიიდან





„არშინმალალან". ავლაბრის თეატრი.
ხალა — ს. გოგაშვილი
ასია — ქ. კამკამიძე

სონა გოგაშვილის ნიჭი პირველად სახალხო თეატრში გამობრწყინდა. მთელი ოთხი ათეული წელი იგი თავდადებითა და სიყვარულით ემსახურა ავჭალის აუდიტორიის, ნაძალადევის, ავლაბრის, ვერის, კუკიის სახალხო თეატრების სცენას და თავისი ხალასი ნიჭით სამართლიანად დაიმსახურა მაყურებლის სიყვარული და პატივისცემა.

ძველად სცენაზე გამოსულ ქალს ათასნაირი უმგვანო ეპითეტებით ამკობდნენ, „ცირკის ქალს" უწოდებდნენ. სონა გოგაშვილისათვის ამას ხელი არ შეუშლია. იგი არ შეუშინდა მითქმა-მოთქმას. რეჟისორ სვ. სვიმონიძის თეატრალური სკოლა გაიარა და შესანიშნავ მსახიობად ჩამოყალიბდა. სონა ყოველდღე ესწრებოდა რეპეტიციებს, კულისებში მიმალული დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს უკვე დახელოვნებულ მსახიობებს, ნატრობდა პატარა როლის შესრულებას.

სონა გოგაშვილმა პატარაობიდანვე გარდასახვის საოცარი უნარი გამოიჩინა. ის ბაძავდა ყველას — გლეხ ქალს, მათხოვარს, მემწვანილეს, გამყიდველს მიხრა-მოხრით, ჩაცმულობით, სიტყვა-პასუხით. ეს უნარი მას სასცენო მოღვაწეობაში გამოადგა.

თავდაპირველად ვიდრე სახალხო თეატრები გაიხსნებოდა, წარმოდგენები ეზოებში, აივნებზე და ფარდულებში იმართებოდა, (ნაძალადევი, ვერა, ავლაბარი), მერე კი ავჭალის აუდიტორიაში. ავჭალის აუდიტორია ნამდვილი მუშათა თეატრი იყო, თუმცა პატარა მასშტაბისა, მაგრამ დიდი იდეების მქონე. ს. გოგაშვილი ხშირად მონაწილეობდა იმ წარმოდგენებში, რომლებიც რევოლუციონერებისათვის ფონდის შესაგროვებლად იდგმებოდა.

1905 წლის გამძვინვარებული რეაქციის დროს ბევრი მუშა-რევოლუციონერი მეტეხის ციხეში აღმოჩნდა. მუშათა უბნის თეატრის მესვეურები წარმოდგენებს იმ მიზნით მართავდნენ, რომ შემოსული ფული პატიმრებისათვის მოეხმარათ. რა თქმა უნდა, ასეთ ქველმოქმედებას მაშინდელი ხელისუფლება სასტიკად დევნიდა.

ცხრაასიანი წლების სცენისმოყვარენი ნამდვილი რევოლუციონერებიც იყვნენ. რეაქციის მიუხედავად გამოდიოდნენ თბილისის ქუჩებში, მუშათა აუდიტორიებში და აფხიზლებდნენ მუშებს, ბრძოლის სულისკვეთებას ულვიძებდნენ.

სონა გოგაშვილი ხან ერთ თეატრში იყო, ხან მეორეში. ხშირად ქალაქიდან სოფელში მიემგზავრებოდა და ყველგან მიჰქონდა თავისი მხატვრული, მებრძოლი სიტყვა, კულტურა შეჰქონდა ხალხში. ამ კეთილშობილურ საქმეს უსასყიდლოდ და უანგაროდ ეწეოდა. თუ წამყვან თეატრს ჰყავდა გაბუნია-ცაგარელისა და ჩერქეზიშვილი, განაპირა უბნებს ჰყავდა სონა გოგაშვილი.

სონა თავის მეუღლესთან სანდრო გოგაშვილთან ერთად, სახალხო თეატრში 1901 წლიდან გამოჩნდა, ჯერ ნაძალადევის სახალხო თეატრში მოღვაწეობდა, შემდეგ არაქსიანისაში და უფრო გვიან, ვერისა და ავჭალის აუდიტორიების თეატრებში მოღვაწეობდა. თბილისის ყველა სახალხო თეატრსა და კლუბში მისთვის ღია იყო კარი. სონას უთამაშნია ქართული სცენის საუკეთესო მსახიობებთან — ნატო გაბუნიასთან, მაკო საფაროვა-აბაშიძესთან, ელისაბედ ჩერქეზიშვილთან და თვალსაჩინო როლები შეუსრულებია.

სონა გოგაშვილი ისეთი ბუნებრივი ნიჭით იყო დაჯილდოვებული, რომ ნატო გაბუნია მას თავის პარტნიორად თვლიდა და დიდად აფასებდა. ყველა როლში მიმზიდველ და დამაჯერებელ სონას, ჰქონდა მეტისმეტად მეტყველი სახე და მკაფიო გამოთქმა არასოდეს ექცეოდა დიდი მსახიობების გავლენის ქვეშ, როგორც ზოგიერთი სცენისმოყვარე. ცდილობდა ყოველთვის ინდივიდუალური დარჩენილიყო.

ს. გოგაშვილი ხშირად მთავარ როლებში გამოდიოდა და ყოველთვის იპყრობდა აუდიტორიას. სცენაზე მას ახალგაზრდული სიცოცხლე და სიხალისე შემოჰქონდა.

განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო იგი ხანუმას როლში. ამ ნიჭიერმა მსახიობმა ღრმა ემოციურობით, დიდი განცდით გადმოსცა მაჭანკლის ტიპიური სახე: მატყუარა, გაიძვერა, უპირო, გაქნილი, მაჭანკლობის დიდი ოსტატი. სწორედ ასე განასახიერა სონა გოგაშვილმა ეს რთული როლი. მისი ყოველი ნაბიჯი კომიზმით იყო აღსავსე. მის მიერ შექმნილი სახე არ ავიწყდებოდა მაყურებელს.

სონა ყველა კომიკურ როლს ერთნაირი სიძლიერით თამაშობდა. სახასიათო როლების შესრულებაში კი, დიდ დახმარებას უწევდა იმ ხალხში ტრიალი და უშუალო კონტაქტი, ვისაც წარმოსახავდა სცენაზე. მშვენიერი გარეგნობა, მრავალმხრივი ხალასი ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭი და პროფესიის თავდავიწყებით სიყვარული უფლებას აძლევდა რეჟისორს სულ სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის როლები დაეკისრებინა მსახიობისათვის.

„სონა და მისი მეუღლე სანდრო,—გვიამბობს იოსებ გრიშაშვილი, — პირველად გავიცანი 1906 წელს, ამ ორმოცი წლის წინათ, მუშტაიდის თეატრში. ამ დროს მე 17 წლის ვიყავი და სუფლიორად ვირიცხებოდი მუშტაიდის სცენისმოყვარეთა დასში. როგორ მინდოდა არტისტობა — სცენაზე გამოსვლა რომელიმე როლში, მაგრამ მაშინდელი მსახიობები ლ. ბალაშვილი, რ. სალაყაია, გ. გედევანიშვილი და სხვები როლებს არ მაძლევდნენ, პატარა ხარო, და მეც სუფლიორის ხულაში ობლად მჯდარი ცრემლით ვაწოდებდი სიტყვებს, მშურდა, რომ მათ ტაშით აჯილდოვებდნენ, მე კი არა, და როგორ გამეხარდა, როცა ერთხელ გოგაშვილებმა სოსანას როლი შემომთავაზეს აკაკი წერეთლის პიესაში „კინტო“. ეს იყო ჩემი პირველი არტისტული ნათლობა.

სოსანასთანა ტიპები ხშირად მყავდა ნახული ჩვენს უბანში და ბუნებით მოკრძალებულმა, ალბათ, თამამად შევასრულე ყარაჩოხელის როლი, რისთვისაც სონა გოგაშვილისაგან კოცნაც კი დავიმსახურე“...

ნაძალადევის თეატრი 1908 წლის შემოდგომაზე დაარსდა. ეს იყო რეაქციის მძიმე წელი. საჭირო შეიქმნა ისეთი კულტურული დაწესებულების შექმნა, რომელიც გაალვივებდა მუშათა უბნებში რევოლუციურ მისწრაფებას. მოწინავე მუშებს სწორედ ამ მიზნით დაებადათ თეატრის მოწყობის იდეა. მის დასაარსებლად კი საჭირო იყო მთავრობის ნებართვა და შესაფერისი ბინა. ყველა ამ საქმიანობაში მუშებთან ერთად მსახიობებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო სონა გოგაშვილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ს. გოგაშვილი ისევ დიდი სიყვარულით და ენთუზიაზმით განაგრძობდა მსახიობობას. კვლავ მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მას ორმოცი წლის განმავლობაში შესრულებული აქვს ასობით სხვადასხვა როლი. მის სასცენო მოღვაწეობას მუდამ დადებით შეფასებას აძლევდა პრესა და მაყურებელი.

ნიჭიერ მსახიობს მადლიერმა მაყურებელმა იუბილე გადაუხადა. მოეწყო შემოქმედებითი საღამოები და მრავალი ბენეფისი. მთავრობამ მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა.

**თამარ გომართელი**

---

## იუმორი



ჩემო ბუთხუზავ, მუშაობას ვიწყებ, ბავშვები უკვე დიდები არიან, თავიანთ თავს მიხედავენ, ცოტა მეც მიგეხმარები, — მოულოდნელად გამომიცხადა ჩემმა მეორე ნახევარმა (ანუ, როგორც თავის თავს უწოდებს, თვით მთელმა და ჩემმა ორმა მესამედმა), სამუშაოზე ნურაფერს იდარდებ, ჩემო კოკროჭინ, დღეს დავრეკე გოგოებთან და უკვე გამიჩარხეს საქმე ტრესტში, ტექნიკოსად გაგაფორმებთ და ჩვენთან წითელ კუთხეში იქნებიო. ხელფასი 75 მანეთი ყოფილა. რა ვქნა, გენაცვალე, ცოტაა, მაგრამ არა უშავს, გავალ, ოჯახს წავეხმარები.

დილით, სამსახურში წასასვლელად ჩემი მეუღლე ისე იყო გამოწყობილი გერმანულ, იაპონურ, ფრანგულ და ამერიკულ შეერთებულ ტანსაცმელში, რომ ძლივსღა ვიცანი...

მუშაობის დაწყებიდან ხუთი დღეც არ იყო გასული, რომ სამსახურიდან ქალის იმპორტული ტანსაცმლის მთელი გროვა მოიტანა (თითქოს არა ჰქონდა!). თავში სითბო ვიგრძენი და მაშინვე ერთი აბი „რაუნატინი გადავყლაპე. ჩემმა ქალბატონმა კი ტუჩების პრუწვით მომაყარა: ჩემო ტუგრიკო, ხომ იცი, გენაცვალე, უკვე ვმუშაობ, ოჯახს ვეხმარები, შიშველი ხომ ვერ ვივლი, ცოტა რამეები უნდა მიყიდო, ჭირიმე, ხომ ხედავ, ხალხი როგორი გამოპრანჭული დადის სამსახურში, ბოლოს და ბოლოს ვმუშაობ და, რას იტყვიან!.. და ჩვენი ოჯახის დაზოგილ ბიუჯეტს კარგა მოზრდილი ნაჭერი ჩამოაჭრა.

ჩემი მეუღლე მთელი თვე ეზიდებოდა ათასნაირ ჩასაცმელ-დასახურს, თან ჩემთვის ნათქვამი სხვადასხვა ფრინველებისა და ცხოველების საალერსოდ გადაკეთებული სახელები მესმოდა: რა ვქნა, ჩემო ცუგო, გვრიტო და ჩიტო, ხომ იცი, ახლა ვმუშაობ, ოჯახს ვეხმარები, შიშველი ხომ ვერ ვივლიო...

პირველი ხელფასის დღეს სამსახურში დამირეკა, — ალო, შენა ხარ? ჩემო ცქმუტავ და ჩემო ფიცხელავ, მომილოცე, პირველი ხელფასი ავიღე. ახლა ჩვენმა კუდრაჭებმა პატარა მაღარიჩი მაკისრებინეს, ბოლოს და ბოლოს, ვუშაობ, სამსახურიც ხომ მეორე ოჯახია... კიდევ რა უნდა გითხრა, ჩემო თირკმელავ, იცი, ქურქი ვიყიდე და უნდა დამიმატო... ვიგრძენი, წნევამ ორასს გადააცილა და ადელფანის ორი აბი ერთად გადავყლაპე უწყლოდ, ჩემი ქალბატონი კი განაგრძობდა? — აქ სარეცხის ინგლისური მანქანა აქვთ. ყველამ იყიდა და მეც მინდა, ჩვენს შოფერს გამოვგზავნი და 400 მანეთი გამოატანე სასწრაფოდ. რა ვქნა, ხომ იცი ვმუშაობ და ჭუჭყიანი ხომ ვერ ვივლი... ერთ თვეში ჩემმა ცოლმა ოჯახის დასახმარებლად „ზაპოროჟეცის“ ფული დახარჯა.

ნერვებმა მიმტყუნა და ყურმილში ჩავყვირე მთელი ძალით.

— რაო, სარეცხის მანქანაო?! რას მიედ-მოედები, ქალო, რა მანქანას გამოგზავნი, სადა მაქვს მაგდენი ფული, შენ ხომ არ გაგიჟდი.

და მომეჩვენა, რომ ჩემს კაბინეტში სათათბიროდ შემოსული თანამშრომლები გალურჯდნენ და გაქრნენ.

ცოტა ხნის შემდეგ გონს მოვედი და ძლივს ამოვილუღლუღე:

— მმ...ან-ქანა ხომ არ მმოვიდა?..

— დიახ, მოვიდა, ნუ გეშინიათ, არაფერია.

და თანამშრომლებმა ხელჩაკიდებული გარეთ გამომიყვანეს. სადარბაზოს შემოსასვლელთან წითელჯვრიანი, თეთრი მანქანა იდგა და სანიტარი ქალი გაკვირვებული მიყურებდა...

**რ. დავითაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქსოვა




### გაკვეთილი მეხუთე

ქსოვის დაწყების წინ საჭიროა ავიღოთ ზომა. ამისათვის ჯერ დავამზადოთ ნიმუში. ძაფის, ჩხირების და ნაყშის შერჩევის შემდეგ, ჩხირებზე ავკრიფოთ 30 თვალი და მოვქსოვოთ 30 რიგი. თუ ნაქსოვი გაუთოვებას საჭიროებს გავაუთოოთ სველი ნაჭრის ქვეშ, ხოლო თუ ნაყში გაუთოვებას არ მოითხოვს, მაშინ ნაქსოვი დავასველოთ, ქინძისთავებით დავამაგროთ დაფაზე და გავაშროთ. ნიმუში გავზომოთ. დავუშვათ, რომ მისი სიგანე არის 14 სმ, ხოლო სიგრძე — 11 სმ.

მაგალითად, თქვენ გინდათ მოქსოვოთ მამაკაცის უსახელო ჯემპრი შემდეგი ზომებით:

მკერდი — სიგანე 48 სმ.

ზურგი — სიგანე 45 სმ.

სიგრძე იღლიამდე — 42 სმ.

დანარჩენი დეტალების ზომები აღნიშნულია ნახაზზე.

სიგანის ზომას — 48 სმ-ს გავყოფთ ნიმუშის სიგანის ზომაზე, მიღებულ რიცხვს გავამრავლებთ ნიმუშის თვლების რაოდენობაზე $\frac{48 \text{ სმ.}}{14 \text{ სმ}} \times 30$ (მივიღეთ) 108 თვალი. ე. ი. მკერდი შეგიძლიათ დაიწყოთ 108 თვალით. ზურგის ხარე კი $\frac{42 \text{ სმ}}{14 \text{ სმ}} \times 30 = 90$ თვალს. სიგრძეში გჭირდებათ 44 სმ, თქვენს მიერ აღებულ ზომას ამრიგად გაყოფთ ნიმუშის სიგრძეზე, გაამრავლებთ რიგების რაოდენობაზე და მიიღებთ საბოლოო რიგების რაოდენობას $\frac{44 \text{ სმ}}{11 \text{ სმ}} \times 30 = 120$ რიგს.

ე. ი. მოქსოვთ 120 რიგს, გვერდებში მოაკლებთ 15-15 (სულ 30) თვალს ორივე მხრიდან (როგორც ნახაზზეა მოცემული, დარჩენილი თვლები მოიქსოვება 14 სმ. $\frac{14 \text{ სმ}}{11 \text{ სმ}} \times 30 = 1,4 \times 30 = 42$ რიგს.

შემდეგ 39 თვალს გადაიღებთ დამხმარე ჩხირზე და შუიდან იწყებთ კლებას. ყოველ რიგში 3 თვალს მოაკლებთ, როცა დაგრჩებათ 20 თვალი, დაიწყებთ მოკლებას მეორე მხრიდან, ასევე ყოველ გადასვლაზე 3 თვალს დაამთავრებთ. შემდეგ დამხმარე ჩხირზე დარჩენილ თვლებსაც იგივე წესით მოქსოვთ. ზურგის მხარეს ქსოვთ იგივე წესით, მხოლოდ იღლიებთან მოვაკლებთ 8-8 (სულ 16) თვალს ორივე მხრიდან და დარჩენილ თვლებს მოვქსოვთ 2 სმ-ს. (ე. ი. $\frac{20 \text{ სმ.}}{11 \text{ სმ.}} \times 30 = 1,8 \times 30 = 54$ რიგს.




დანარჩენს მოვქსოვთ, როგორც მკერდი მოვქსოვეთ, საყელოს და სახელოს დამუშავების წესს მომავალ გაკვეთილზე განვიხილავთ.

ასეთი წესით ქსოვის დაწყება თავიდან აგვაცილებს შეცდომებს და ქსოვის რამდენჯერმე დაწყებას.

**ლამარა ვეკუა**



## ახალგაზრდა დიასახლისებისათვის

# კრემები

### ვანილის კრემი

მასალა: 8 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 1 ჩაის კოვზი კარტოფილის ფქვილი, 1 ჭიქა რძე, ვანილი, 1 ჩაის კოვზი კარაქი ან 1 კვერცხის გული.

ადუღეთ რძე, რომელშიც ჩაყრილია შაქარი და ვანილი, შემდეგ დაუმატეთ ცოტა ცივ რძეში გახსნილი კარტოფილის ფქვილი და რამდენიმე წუთს ადუღეთ (თან განუწყვეტლივ ურიეთ). ცეცხლიდან გადმოდგმის შემდეგ ჩაუმატეთ კარაქი ან უმი კვერცხის გული (ურიეთ). ეს კრემი შეგიძლიათ მიიტანოთ სუფრაზე ცხელ ან ცივ ნამცხვართან ან შემწვარ ვაშლთან ერთად.

### დარიჩინის კრემი

მზადდება ისევე, როგორც ვანილის კრემი, ოღონდ ვანილის ნაცვლად იხმართ დანაყილ დარიჩინს.

## შოკოლადის კრემი

მასალა: 25 გრ კაკაო, 1 ჩაის ჭიქა ცხელი წყალი, 1 სუფრის კოვზი კარტოფილის ფქვილი, 1 სუფრის კოვზი ცივი წყალი, შაქრის ფხვნილი და მარილი (გემოვნებით), ნახევარი სუფრის კოვზი კარაქი. შეიძლება ჩაამატოთ ვანილიც.

კაკაოს დაასხით სულ ცოტა ცხელი წყალი, კარგად მოურიეთ (ისე, რომ კაკაო სულ გაიხსნას), შემდეგ თანდათანობით დაუმატეთ დარჩენილი ცხელი წყალი. გახსენით ცივ წყალში კარტოფილის ფქვილი და დაუმატეთ კაკაოიან მასას, ჩაუმატეთ გემოვნებით შაქრის ფხვნილი და მარილი. დადგით ცეცხლზე, ადუღეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში (თან ურიეთ), გადმოდგით ცეცხლიდან, დაუმატეთ კარაქი და ვანილი.

## ღვინის კრემი

მასალა: 1 ჩაის ჭიქა თეთრი ღვინო, 2 კვერცხის გული, 2 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, ლიმონის გახეხილი კანი.

კვერცხის გულები კარგად ათქვიფეთ შაქრის ფხვნილთან ერთად, დაუმატეთ ლიმონის გახეხილი კანი და შემთბარი ღვინო (თან განუწყვეტლივ ურიეთ). შედგით დაბალ ცეცხლზე და გააჩერეთ მანამდე, სანამ კრემი არ შესქელდება (თან ურიეთ). შეგიძლიათ მიიტანოთ სუფრაზე ცხელ ტკბილ კერძებთან ერთად.

პოლონურიდან თარგმნა
**ელვირა ხარატიშვილმა**



როგორ გავლამაზდეთ



# ზოგი რამ ნიღბების შესახებ

უმჯობესია ნიღაბი მშვიდ მდგომარეობაში, წამოწოლილმა გაიკეთოთ. არ დაგავიწყდეთ ფეხების დიდ ბალიშზე დადება.

ხილისა და ბოსტნეულისაგან ფაფისებური მასა უნდა მოამზადოთ: წვნიანი, კარგად გარეცხილი ნაყოფი საცერში გაწურეთ, მაგარი ვაშლი და კიტრი კი სახეხზე გახეხეთ. ეს ფაფა სახეზე და ყელზე ფუნჯით წაისვით, ან დოლბანდზე დაასხით და ისე დაიდეთ. თვალებზე დაიფარეთ ჩაიში დასველებული ტამპონები.

ნიღაბს 20—30 წუთს აჩერებენ, შემდეგ კი ტამპონით მოიშორებენ და დაიბანენ. სახე პირსახოცით ფრთხილად შეიშრეთ (ხელის დაჭერით) და თვალების ირგვლივ კრემი წაისვით. ნიღბის შემდეგ ცოტა ხანს პუდრს ნუ შეიფრქვევთ და კოსმეტიკურ საშუალებას ნუ იხმართ.

აი როგორ მოქმედებს სხვადასხვა ნაყოფი კანზე:

გარგარი — ამშვიდებს, გაღიზიანებას აქრობს.

ბადრიჯანი და ყაბაყი აქრობს სიმშრალეს, ტენს მატებს.

მოცვი — ფორებს ავიწროებს და აჯანსაღებს.

ატამი — ტკიცავს და არბილებს.

ყურძენი — ტენს მატებს და არბილებს.

ხენდრო, ჟოლო — ტენს მატებს, აჯანსაღებს.

ლიმონი — ფორებს ავიწროებს, ოღონდ ლიმონის წვენს სხვა რამე წვნიანიც დაუმატეთ, თორემ ძალიან ძლიერად მოქმედებს.

ალუბალი — ფორებს ავიწროებს, აჯანსაღებს.

კიტრის ნიღაბი სასურველია დაღლილ, ჭკნობაშეპარული, განიერფორებიანი კანისათვის; ყველაზე იოლია გათალოთ და კანი სახეზე დაიდოთ. კიტრი შეიძლება სახეხზე გახეხოთ, მიღებული ფაფა დოლბანდზე დადოთ და სახეზე დაიფაროთ, ანდა ათქვიფოთ ერთი ცილა, ჩაასხათ შიგ ორი კოვზი კიტრის წვენი, აურიოთ და სახეზე ისე წაისვათ.

სტაფილოს ნიღაბი კარგია ცხიმიანი, ფერისმჭამელებიანი, მკრთალი და ჭკნობაშეპარული კანისათვის. სტაფილო სახეხზე გახეხეთ. თუ ძალიან წვნიანია, დაუმატეთ ცოტა ტალკი. სტაფილოს ფაფა წაისვით სახეზე. შეგიძლიათ ჩაუმატოთ გახეხილი ვაშლი, მაშინ ნიღაბი კანს მეტ ტენს შემატებს.

პამიდორის ნიღაბი კარგია ნაცრისფერი, განიერფორებიანი, ცხიმიანი კანისათვის. სახეზე იდებენ პამიდორის ნაჭრებს.

კარტოფილის ნიღაბი აშორებს დაღლილობის კვალს და ტკეცავს ნაოჭებს: მოხარშეთ კარტოფილი, ცხელ-ცხელი დასრისეთ, დაუმატეთ ცოტა რძე, გააგრილეთ და წაისვით.

**ბაგუსლავა ვილმუხოვას წიგნიდან „ევა ყოველთვის ახალგაზრდაა"**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ფოტოკონკურსი

ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" რედაქცია და „საბჭოთა ფოტო" აცხადებენ ერთობლივ ფოტოკონკურსს: „ჩვენი თანამედროვე ქალი".

კონკურსის მიზანია ფოტოპუბლიცისტიკისა და ფოტოხელოვნების საშუალებით გვიჩვენოს თანამედროვე ქალის სახე. გვიჩვენოს: ქალი — ქვეყნად ყველაფერ მშვენიერის განსახიერება; ქალი — დედა; რას საქმიანობს ქალი, როგორ ისვენებს, როგორ მონაწილეობს სპორტში, ასეთია კონკურსის თემატიკა.

კონკურსში მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია. მიიღება სხვადასხვა ჟანრის შავ-თეთრი გამოსახულების ფოტოები, რომელიც გნებავთ ფოტოტექნიკით შესრულებული. მათი ზომა უნდა იყოს: 18×24-დან 24×30-მდე.

ფოტოების უკანა გვერდზე უნდა ეწეროს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი და სიუჟეტის სახელწოდება. შეძლებისდაგვარად ფოტოები გამოქვეყნდება კონკურსის მომწყობი ჟურნალების ფურცლებზე.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები და დიპლომები.

შედეგები 1986 წლის მარტში შეჯამდება.

სურთები შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნოთ: 103764, გსპ, მოსკოვი, კუზნეცკი მოსტის ქუჩა, 22, ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" რედაქცია. კონვერტზე აღნიშნეთ: „ფოტოკონკურსისათვის".

გამოგზავნის უკანასკნელი ვადა 1985 წლის 31 დეკემბერია.

ფოტოები ავტორებს არ უბრუნდება, მათზე რეცენზიები არ იწერება.

---

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — Ი. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲜᲐᲜᲐ ᲡᲐᲓᲦᲝᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲖᲔ — ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ — ᲢᲧᲣᲞᲘ ᲓᲔᲑᲘ: ᲔᲗᲔᲠᲘ, ᲚᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲔᲐ ᲑᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘ. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები

მთავარი რედაქტორი მარიკა ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ბ. ᲑᲐᲜᲫᲔᲚᲐᲫᲔ, ნ. ᲑᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ლ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, ნ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ, თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ქ. ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ, ნ. ᲥᲕᲐᲜᲘᲐ, პ. ᲫᲚᲔᲜᲢᲘ, ც. ᲢᲔᲠᲔᲚᲐᲫᲔ (მხატ. რედაქტორი), ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ლ. ᲨᲔᲭᲘᲠᲣᲚᲘ, ნ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ᲑᲣᲙᲘᲐ

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096 Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი—ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქ ტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 99-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6. 9. 84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 10. 84 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. 8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 140.000. შეკვ. 2011 უე 06772

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდა







ფასი 30 კაპ

ინდექსი 76178